ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 11 — სამშაბათი, 6 აგვისტო 1918 წ. — № 11

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. აფხაზი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.

## განცხადება.

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა მგზავრების, ბარგის ფოსტის და სხვ. გადასაზიდად შემდეგ მიმართულებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე: 1) თბილისი—ყაზბეგი, 2) თბილისი—კოჯორი—მანგლისი, 3) თბილისი—თეთრი-წყლები, 4) თბილისი—ვორონცოვკა, 5) სიღნაღი—წნორის-წყალი—ლაგოდეხი, 6) თელავი—თიონეთი, 7) გორი—ცხინვალი, 8) გორი—მეჯვრის-ხევი, 9) ვაზიანი — გომბორი, 10) ბორჯომი—აწყური, 11) ქუთაისი—ხონი—სამტრედია, 12) ქუთაისი—ბაღდადი—აბასთუმანი, 13) ქუთაისი—ონი, 14) სენაკი—ზუგდიდი—სოხუმი, 15) სოხუმი—გაგრა, 16) ფოთი—სუფსა, 17) ნატანები—ოზურგეთი—ჩოხატაური—საჯევახო, 18) აბაშა—ბანძა—ნაოლალევი და 19) იანეთი—დიდი—ჯიხაიში. ამ მიზნისათვის გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება მოუწოდებს მსურველებს კონცესიის ასაღებად შემოიტანონ განცხადება. აღნიშნულ გზებზე კონტრ-აგენტებს ექნებათ ავტომობილების მიმოსვლის მონოპოლიის უფლება. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებაში, პეტრე დიდის ქუჩა, № 8. დეპეშით ან ფოსტით ცნობების მოწოდება არ შეიძლება. უკანასკნელი ვადა განცხადების შემოტანის დანიშნულია 10 აგვისტოს შუადღის სამ საათამდის. შემდეგ შემოსული განცხადებები, როგორი საშუალებითაც არ უნდა იქნეს ისინი ფოსტით თუ დეპეშით, ან როგორის შინაარსის და წინადადებით—მხედველობაში მიღებული არ იქნება. 3—2

## განცხადება
### საქონლის გამცვლელ კომიტეტისა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყოველ გვარ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ზემოხსენებულ კომიტეტს (თბილისი ჭავჭავაძის ქუჩა № 2) სია (რაოდენობა და ხარისხი) იმ საქონელთა, რომლებიც მათ სურთ შეიძინონ გერმანიიდან-ვინაიდან კომიტეტი ამ მოკლე ხანში გზავნის გერმანიაში კომისიას საქონლის ყიდვის და გამოტანის მოსაწყობად. ამ კომისიის გარეშე საქონლის შემოტანა გაძნელებული იქნება.

კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრის ამხანაგი

მდივანი: თ. ჭიჭინაძე. 3—2

---

კავკასიის ბანკის საბჭო და გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ბანკის ბათუმის განყოფილების მმართველის

**სერგი მოსეს ძე ცურინოვის**

გარდაცვალებას ამა წლის 30 ივლისს ბათომში. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

---

## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი
საფაბრიკო ზედამხედველობის (ინსპექციის) გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქმნეს ვაჭრობა-მრეწველობის უწყების საფაბრიკო ზედამხედველობა (საფაბრიკო ინსპექციისა წესდება მრეწველობისა და შრომისა მუხ. III).

2. ყოველი უფლება და მოვალეობა საფაბრიკო ზედამხედველობისა, განსაზღვრული საქართველოს ტერიტორიაზედ მომქმედი კანონებით, გადადის შრომის სამინისტროს ორგანოებზედ, გარდა საფაბრიკო ზედამხედველობის მოხელეთა „ნაკაზის“ и, i, к, л, და м, მუხლებში (კრებ. კანონ. 1910 წ. მუხ. 434) ჩამოთვლილ ფუნქციებისა, რომელთა ასრულებაც დაევალოს ვაჭრობა-მრეწველობის ორგანოებს.

3. ყოველი საქმე საფაბრიკო ზედამხედველობისა გადაეცეს შრომის სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს,-შრომის კომისრებს-იმ წესით, რომელსაც შეიმუშავებენ შრომის სამინისტრო და ვაჭრობა-მრეწველობის უწყება.

4. საფაბრიკო ზედამხედველობის ყოველი მოხელე დატოვებულ იქნეს შტატის გარეშე (წესდება მრეწველობის და შრომის მუხ. 30) თანახმად საქართველოს რესპუბლიკის 1918 წ. ივლისის 2 კანონისა.

5. შრომის მინისტრს უფლება აქვს გამოსცეს სათანადო განმარტება საფაბრიკო ზედამხედველობის გაუქმების გამო. 1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

---

### კ ა ნ ო ნ ი
სახალხო მილიციის და ადმინისტრაციისა.

1) სოფლად წესიერების დასაცავად ყოფილ სოფლის საზოგადოებაში დაარსდეს მუდმივი სასოფლო მილიცია ერთი სასოფლო კომისრის და ხუთი მილიციონერისაგან.

2) სოფლის კომისარს ჯამაგირად დაენიშნოს სამასი /300/ მან. თვიურად, ხოლო საკანცელარიო ხარჯებისათვის ოთხას ორმოცდაათი /450/ მან. თვიურად და დაევალოს მას, გარდა ყოველდღიური ჩვეულებრივი საქმისა, აგრეთვე სამობილიზაციო, სამხედრო-საცხენო ბეგრის, სოფლის საზოგადოებაში სახელმწიფო გადასახადების აკრეფის და სხვა სათანადო საქმეთა წარმოება.

3) მილიციონერს მიეცეს ორას ოცი (220) მან. თვიურად.

4) სასოფლო მილიციის ზემოაღნიშნული შტატი შემოღებულ იქნეს 1918 წლ. აგვისტოს პირველიდან.

5) მილიციისათვის საჭირო თანხა ცხრა მილიონი შვიდას ოცდასამი ათას ექვსასი (9. 723. 600) მან. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასოფლო მილიციისთვის საჭირო თანხა მიმდინარე 1918 წ. გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო ერობის შემოღების შემდეგ, მომავალ 1919 წლ. იანვრის პირველიდან, ნაწილი ამ ხარჯისა დაევალება ერობას.

6) სოფლის საზოგადოება სოფლის კომისრის თანამდებობაზე ირჩევს ერთ კანდიდატს და წარუდგენს მაზრის კომისარს. დასამტკიცებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში სოფლის კომისარს დანიშნავს გუბერნიის კომისარი.

7) მაზრის კომისარს უფლება აქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, დროებით გადაიყვანოს მილიციონერები ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში.

8) მილიციონერებს ბინა მიეცემა სოფლის მმართველობის შენობაში.

9) სასოფლო მილიციის სამსახური არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომრის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომრის მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

### შ ტ ა ტ ი
მილიციისა სოფლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

| ადგილები. | რიცხვი. სოფლის საზოგადოებათა. | რიცხვი. სოფლის კომისრები. | რიცხვი. სოფლის მილიციონერები. | სოფლის კომისრის საკანცელარიო ხარჯები [illegible] თვიურად 450 მან. |
|---|---|---|---|---|
| თბილისის გუბერნია . . . . | 193 | 193 | 965 | — |
| ქუთაისის გუბერნია . . . | 193 | 193 | 965 | — |
| სოხუმის ოლქი. | 52 | 52 | 260 | — |
| ჯ ა მ ი . . | 438 | 438 | 2190 | — |
| წლიური ჯამაგირი . . . . | — | 3600 | 2640 | 5.400 |
| ჯ ა მ ი . | — | 1.576.800 | 5.781.600 | 2.365.200 მან. |

აღნიშნულ შტატებისათვის საჭიროა მიეცეს თვიურად 810.300 მან. და წლიური 9.723.600 მან.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

---

### კ ა ნ ო ნ ი
რუსეთის საერთო დაწესებულებათა და მათ განყოფილებათა ლიკვიდაციისა.

1. მიენდოს მთავრობას, საჭიროების მიხედვით, მოახდინოს ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე და-

რჩენილ რუსეთის, კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და მათ ადგილობრივ განყოფილებათა არა უგვიანეს ამა 1918 წლის დეკემბრის პირველისა.

2. დაევალოს მთავრობას ყოველი ასეთი ლიკვიდაციის გამო სათანადო კანონპროექტი წარმოუდგინოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს არა უგვიანეს ერთი თვისა ამა თუ იმ დაწესებულების სრულ ან ნაწილობრივ ლიკვიდაციის დღიდან.

3. ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯი გაღებულ იქნეს ათი მილიონის ფონდიდან.

4. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის
ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

---

## კ ა ნ ო ნ ი

საგუბერნიო. საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატისა.

1. დაწესებულ იქნეს რესპუბლიკის საზღვრებში საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომისრების შტატი შემდეგის შედგენილობისა: თ ბ ი ლ ი ს ი ს გუბერნიისათვის ერთი გუბერნიის კომისარი, ორი მისი თანაშემწე, შვიდი მაზრის კომისარი, შვიდი უფროსი და სამი უმცროსი მათი თანაშემწე—და 32 სარაიონო კომისარი. ქ უ თ ა ი ს ი ს გუბერნიისათვის ერთი გუბერნიის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე შვიდი მაზრის კომისარი, შვიდი მათი თანაშემწე და 24 სარაიონო კომისარი. ს ო ხ უ მ ი ს ოლქისათვის ერთი ოლქის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე და 4 სარაიონო კომისარი. ზ ა გ ა თ ლ ი ს ოლქისათვის ერთი ოლქის კომისარი, ერთი მისი თანაშემწე და 4 სარაიონო კომისარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სარაიონო კომისარი არის იმავე დროს სარაიონო მილიციის უფროსი.

2. ხსენებული კომისრებისთვის დაწესდეს შემდეგი რაოდენობა ჯამაგირისა: გ უ ბ ე რ ნ ი ი ს კომისარს თექვსმეტი ათას ორასი მან. წლიურად, მის თანაშემწეს ათი ათას რვაასი მან. წლიურად, მაზრის კომისარს ცხრა ათასი მან. წლიურად, მაზრის კომისრის უფროს თანაშემწეს შვიდი ათას ორასი მან. წლიურად, ხოლო უმცროს თანაშემწეს ექვსი ათასი მან. წლიურად. სოხუმის ოლქის კომისარს ცამეტი ათას ორასი მან. წლიურად, მის თანაშემწეს კი ცხრა ათასი მან., სარაიონო კომისარს მიეცეს წლიურად ოთხი ათას ორასი მანეთი; ზაქათლის ოლქის კომისარს ცამეტი ათას ორასი მან. წლიურად, მის თანაშემწეს კი ცხრა ათასი მან., სარაიონო კომისარს მიეცეს წლიურად ოთხი ათას ორასი მანეთი.

3. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს სამოცი ათასი (60.000) მან. საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის საგზაო ხარჯისათვის.

4. ზემოდასახელებულ შტატისათვის განწესებული ჯამაგირი შემოღებულ იქნეს ამა წლის ივლისის პირველიდან.

5. ამ შტატებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯი გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის
ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

---

# ნ.უ ს ხ ა

### საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციის შტატის ხარჯებისა.

ხარჯი საგუბერნიო და საოლქო ადმინისტრაციისა—მანეთებად. ხარჯი სამაზრო (საოლქო) და სარაიონო ადმინისტრაციისა—მანეთებად.

| სახელწოდება რაიონებისა | მოხელეთა რიცხვი | გუბერნიის და ოლქის კომისრის — თვიურად თითოს | გუბერნიის და ოლქის კომისრის — წლიურად თითოს | გუბერნიის და ოლქის კომისრის — წლიურად ყველას | მოხელეთა რიცხვი | გუბ. და ოლქის კომ. თანაშემწის — თვიურად თითოს | გუბ. და ოლქის კომ. თანაშემწის — წლიურად თითოს | გუბ. და ოლქის კომ. თანაშემწის — წლიურად ყველას | მოხელეთა რიცხვი | მაზრის კომისრის — თვიურად თითოს | მაზრის კომისრის — წლიურად თითოს | მაზრის კომისრის — წლიურად ყველას | მოხელეთა რიცხვი | მაზრის კომისრის თანაშემწეს — თვიურად თითოს | მაზრის კომისრის თანაშემწეს — წლიურად თითოს | მაზრის კომისრის თანაშემწეს — წლიურად ყველას | მოხელეთა რიცხვი | სარაიონო კომისრისა — თვიურად თითოს | სარაიონო კომისრისა — წლიურად თითოს | სარაიონო კომისრისა — წლიურად ყველას | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისის გუბერნია . . . . | 1 | 1350 | 16200 | 16200 | 2 | 900 | 10800 | 21600 | 7 | 750 | 9000 | 63000 | 7 | 600 | 7200 | 50400 | 32 | 350 | 4200 | 134400 | 285600 |
| | | | | | | | | | | | | | 3 | 500 | 6000 | 18000 | | | | | 18000 |
| ქუთაისის გუბერნია . . . . | 1 | 1350 | 16200 | 16200 | 1 | 900 | 10800 | 10800 | 7 | 700 | 9000 | 63000 | 7 | 600 | 7200 | 50400 | 24 | 350 | 4200 | 100800 | 241200 |
| სოხუმის ოლქი . . . . . | 1 | 1100 | 13200 | 13200 | 1 | 750 | 9000 | 9000 | — | — | — | — | — | — | — | — | 4 | 350 | 4200 | 16800 | 39000 |
| ზაქათლის ოლქი . . . . . | 1 | 1100 | 13000 | 13200 | 1 | 750 | 9000 | 9000 | — | — | — | — | — | — | — | — | 4 | 350 | 4200 | 16800 | 39000 |
| სულ . . . . | 4 | — | — | 58800 | 5 | — | — | 50400 | 14 | — | — | 126000 | 17 | — | — | 118800 | 64 | — | — | 268800 | 622800 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გზათა ხარჯებისათვის . . . . . . . . . . 60000 მან.

სულ . . 682800 მამ.

1918 წ. აგვისტოს 2

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

---

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

1 აგვისტოს 1919 წ. ქ. თბილისი.
№ .

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ვლადიმერ ალექსანდრეს ძე იანოვიჩი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერობის შემოღების ინსტრუქტორათ თავისუფალ დაქირავებით.

ხელს აწერს: მინისტრი ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.
დედანთან სწორეა: განყოფილები უფროსი გ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.

3 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,
№ 219.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ივანე ანტონის ძე არონიშიძე გორის მაზრის კომისრათ.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი ა: გორის მაზრის კომისრის მოვალეობათა დროებით ასრულებელი ვარლამ გოგუა აღნიშნულ თანამდებობიდან.

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

დედანთან სწორეა: გ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.

---

## ც ი რ კ უ ლ ი ა რ ი.

თბილისის და ქუთაისის გუბერნის კომისრებს

ამა ივლისის 9 მთავრობის თავჯდომარე გაეცნო რა ამ გარემოებას, რომ კომენდანტ ხუსკივაძეს და ბაკურიანის რაიონის შტაბის უმფროსს აუგრძალავთ მატარებლების მიმოსვლა ბაკურიანისაკენ, დაადგინა: მტკიცე წესათ იქნეს მიღებული, რომ ყოველივე უწყება, ან დაწესებულება თუ იმას საჭიროება მოითხოვს, შეცვლას ან შეჩერებას ან სხვა რაიმე განკარგულებას რკინის გზაზე, ვალდებულია მიმართოს ამის შესახებ გზათა სამინისტროს, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს უფლება მოახდინოს სათანადო განკარგულება რკინის გზაზე, რასაც გაუწყებთ თქვენ ცნობათ და შესაფერ ზომების მისაღებათ.

დირექტორი კანცელარიისა
განყოფილების უმფროსი
საქმის მწარმოებლის თანაშემწე
დედანთან სწორია დ. ა ბ ა შ ი ძ ე.

კანცელარიამ მიიღო ცნობა რომ სოფლების და მაზრების კომისრები ჩხრეკენ სამგზავრო მატარებლებს და ძალა დატანებით აფერხებენ სადგურებზე ბარგის მიღებას; ამგვარი მოქმედება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების შეუწყნარებელია, რის გამო თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა, ვთხოვთ მოახთინოს სადანადო კატეგორიული განკარგულება, რათა აეკრძალოს აღნიშნულ კომისრებს რკინის გზის ადმინისტრაციის საქმეებში გარევა დვ მათთან არა შეთანხმებით მატარებლების ჩხრეკა. რადგანაც ადმინისცრაციის ამგვარი მოქმედება იწვევს ათასგვარ გაუგებრობას.

ხელს აწერენ:
ვიცე დირექტორი მ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე.
განყოფილების უმფროსის
მაგიერ ვ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი.
საქმის მწარმოებლის მაგიერ დ. ა ბ ა შ ი ძ ე.
დედანთან სწორია დ. ა ბ ა შ ი ძ ე.

---

## სავალდებულო დადგენილება

სამგზავრო და საბარგო ავტომობილების და მოტოციკლეტების მოსაწესრიგებლად და რეგისტრაციის მოსახდენათ.

რადგან ყველა საქმეები და უწყებები, რომლებიც შეეხებოდა საავტომობილო ნაწილს, გადავიდა გზათა სამინისტროს განკარგულებაში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოხდეს რეგისტრაცია თბილისში არსებულ ყველა ავტომობილების, სამხედრო უწყების, საზოგადოებების, კავშირების, ეროვნულ და სხვა ორგანიზაციების და აგრეთვე ყველა კერძო ავტომობილების და მოტოციკლეტების.

ყველა უწყების ავტომობილებს, რეგისტრაციის შემდეგ ექნებათ საჭირო მოწმობები, შესაფერისი ნიშნები და წარწერები; რომლებიც გარკვეულათ უნდა ჩნდეს როგორც დღით ისე ღამით.

რეგისტრაციის ადგილი დანიშნულია უმთავრეს საავტომობილო სახელოსნოებში (პავლოვის ქუჩა № 10).

აღნიშნული რეგისტრაცია მოხდება შემდეგის რიგით.

ყველა ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაცია, რომლებიც ემსახურებიან მთავრობის, სამხედრო და საზოგადოებათა დაწესებულებათ და აგრეთვე ეროვნულ ან სხვა ორგანიზაციებს, დაიწყება 29 ივლისს დილის 9 საათიდან და გაგრძელდება 10 აგვისტომდის. აგვისტოს ათს დილისით 9 საათიდან დაიწყება რეგისტრაცია ყველა კერძო და ბირჟის ავტომობილების და გაგრძელდება 20 აგვისტომდის.

ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც მსვლელობაშია, წარმოდგენილი უნდა იქნეს დანიშნულ დროს აღნიშნულ ადგილზე.

რაც შეეხება იმ ავტომობილებს და მოტოციკლეტებს, რომლებიც მსვლელობაში არ არიან ან და რემონტში იმყოფებიან, იმათ შესახებ მათი პატრონები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობები ავტომობილის ფირმის, რაოდენობის, ვინაობა პატრონის და ადგილის, სადაც ავტომობილი იმყოფება. ასეთი მაშინების რეგისტრაცია მოხდება ადგილობრივ. ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, მთავრობის განკარგულებით დაჭერილი ექნებიან და მათი პატრონნი კი პასუხისგებაში მიცემულნი.

გზათა მინისტრის ამხანაგი მ ა ლ ა ნ ი ა.

---

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 6 აგვისტო.

სახელმწიფოს და ერის ორიენტაცია ყოველთვის დაკავშირებულია მათ რეალურ პოლიტიკურ ინტერესებთან. სოციალურ-პოლიტიკური თავდაცვის კანონი თამაშობს უაღრეს როლს ორიენტაციის შემუშავებასა და შეცვლაში. თუ გნებავთ ეს საერთაშორისო და სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში ბრძოლის პრინციპის თავისებური გამოხატულებაა.

როდესაც წინათ საქართველო ხელშეკრულობით უერთდებოდა რუსეთს, ირჩევდა ახალ გზას თავის ისტორიულ განვითარებისას, იმუშავებდა და ითვისებდა საერთაშორისო თვითგამორკვევის ახალ თვალსაზრისს, ახალ ორიენტაციას, ეს ხდებოდა თავდაცვის დიდი ინტერესების კარნახით, აუცილებლობის ულმობელი კანონის ძალით, ამას თხოულობდა მაშინდელი სახელმწიფოებრივი ინტერესი და მოსაზრება საკუთარი არსებობის და თავისუფალი შინაურ განვითარების უზრუნველსაყოფელათ.

ხოლო როცა დღეს, რუსეთის დაშლისას საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიას მიუახლოვდა კავშირისა და დახმარებისათვის, როცა რუსულ ორიენტაციას საბოლოოთ გამოეთხოვა და შეცვლილ პირობებისა მიხედვით დაადგა ახალ საერთაშორისო მიმართულებას, ითვისებს ახალ ორიენტაციას, რომელიც უფრო უზრუნველყოფილია მისი დამოუკიდებლობისა და განვითარებისათვის. თავისთავათ ცხადია აქ მუშაობს უპირველეს ყოვლისა ინტერესის ხელი, ამას დაუყონებლათ მოითხოვდა და მოითხოვს პოეტის თქმის არ იყოს „ქართლის აწ ვითარება, მისი აწ ძალი, ყოფა ცხოვრება!

ეს არ გაეგებათ მხოლოდ ბრიყვს პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოს თავისუფლებას გამოცხადებაში და ახალი გზის გამონახვაში ამა თუ იმ ჯგუფის ბოროტების და ბოროტ სურვილებს ხედდვენ, მათ არ ესმით, რომ საქართველომ თუ შეიძინა და შეირჩინა რამე სწორეთ ამ ახალი გზის და მიმართულების მეოხებით. ასეთი იყო მოთხოვნილება რევოლიუციის და დემოკრატიის.

მაგრამ საქართველოს ეს ორი ისტორიულ-საერთაშორისო დაახლოება, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რუსეთის პროტექტორატი „შინაური საქმე იყო რუსეთსა და საქართველოს შორის“ ამიტომ ის ძლიერმა მხარემ ადვილათ გადააქცია უბრალო შეერთებად.„ ეს პროტექტორატი რომ განხორციელებულიყო საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში, რამოდენიმე სახელმწიფოს, მასთან განათლებულ სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების ატმოსფერაში, საქმე სულ სხვა მიმართულების მიიღებდა“ (ავალიშვილი)

სულ სხვანაირია დღევანდელი საერთაშორასო ურთიერთობის პირობები.

მართალია ჩვენი ბედი გერმანიას დაუკავშირეთ, საქართველოს რესპუბლიკა მის საერთაშორისო ყურადღების და მფარველობის ქვეშ შევიდა, მაგრამ ყოველივე ეს ხდება მსოფლიოს პოლიტიკის გაშლილ ასპარეზზე და გერმანიის ინტერესი და სურვილი უნდა იყოს ამ საერთაშორისო ყურადღებას და მფარველობას განსაზღვრული სახე და მოხაზულობა მისცეს.

საქართველოს და საერთოთ კავკასიის ხალხთა მდგომარეობის საბოლოვო გამორკვევის ისტორიაში განზრახული გერმანიის მოკავშირეთა საერთა შორისო კონფერენცია განსაკუთრებულ როლს ითამაშებს. ხოლო ვინაიდან მთელი ჩვენი საერთშორისო მდგომარეობის სადავე გერმანიას უჭირავს ხელში, ცხადია ჩვენთვის გაცილებით უმჯობესია საქართველოს საკითხის გადაჭრა სრულიად განთავისუფლებულ იქნას ყოველგვარ სახი-

ფათო გავლენისგან და ჩვენი საერთოშორისო ბედი გაიჭედოს ბერლინში და არა სტამბოლში, როგორც ეს განზრახული იყო დღევანდლამდის.

ოსმალეთი თუ მეტი არა, ყოველშემთხვევაში დაინტერესებულია კავკასიაში სულ მისი გეგემონია იყოს გატარებული და ყველა აქაურმა ერმა და ქვეყანამ და მათ შორის საქართველომაც სტამბოლის ხელმძღვანელობა იცნოს ყველგან და ყველაფერში. ცხადია, ეს განზრახვა ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის მავნებლად უნდა ჩაითვალოს და საბედნიეროთ, მრავალ ნაირათ ეწინააღმდეგება თვით ოთხთა კავშირის დანარჩენ წევრებს.

არც გერმანია, არც ავსტრია და მით უფრო ბულგარეთი არ არის დაინტერესებული საქართველო დამონებული იყოს. გავბედავთ და ვიტყვით, დღეს რომ ჩვენი მოკავშირის გერმანიის ძლევამოსილებას ებრძვიან ვერც ის დიდი სახელმწიფონი გამოვლენ როდისმე საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოწინააღმდეგეთა როლში. ამას არ თხოულობს მათი ინტერესები.

საქართველოს ხელახალ ხელში ჩაგდებას და დაპყრობას მოიწადინებს აგრეთვე რუსეთში აღდგენილი მონარქიული თუ ლიბერალურ-კონსტიტუციონალური წყობილება· თვით ბალშევიკური რუსეთი, საბჭოთა „ფედერატიული“ რესპუბლიკაც ვერ შერიგებია დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკურ არსებობას, ცდილობს მის გაუქმებას და, თქვენ კარგათ წარმოიდგინეთ რალას იტყვის მონარქიული რეჟიმი, რომელიც ჭიმარჯვებს რუსეთში. ყოველი საფრთხისთვის მზათ უნდა ვიყოთ.

ჩვენ გვინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყოთ, ჩვენ გვინდა გერმანიის მფარველობის ქვეშ საერთოშორისო ურთიერთობაში საკუთარი სახელმწიფოებრივობა შევინარჩუნოთ. ხოლო ყველა ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოსა და ხალხთან ყოველთვის ვეცდებით დავამკვიდროთ კეთილმეზობლური განწყობილება და მეგობრული კავშირი. ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთოშორისო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც მუდამ ჟამს ანხორციელებს რესპუბლიკის მთავრობა.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 26 საღამოს სხდომა

გაგრძელება *)

კ. ნინიძე (ს.-დ.). პირველ მუხლში საჭიროა შესწორება შევიტანოთ. აქ გამოტოვებულია სარაინო კომისარის თანამდებობა, ეს ძველი საბოქაულო გახლავთ. ეს თანამდებობა უკვე არსებობს და მისი გამოტოვება ყოვლად შეუძლებელია სანამდის არ მოხდება ახალი გამიჯვნა. მე შემომაქვს წინადადება, რომ ჩაემატოს სამაზროს შემდეგ სიტყვა „და სარაიონო“. ხოლო იქ, სადაც მოყვანილია კომისართა და მათ თანაშემწეთა რაოდენობა, საჭიროა ჩაემატოს „და 32 სარაიონო კომისარი თბილისის გუბერნიაში, 24 ქუთაისის გუბერნიაში და 4 სოხუმის ოლქში“.

ესენი იქნებიან ამ თანამდებობაზე, რომელსაც ასრულებდნენ ნაწილის მილიციის უფროსი.

თავმჯდომარე. მაშ თქვენი წინადადება რაში მდგომარეობს მოკლედ.

კ. ნინიძე. დაემატოს „სარაიონო კომისარი“. ეს ემატება იმ თანამდებობის მაგიერ, რომელიც ნაჩვენებია შტატებში ნაწილის მილიციის უფროსის სახელით. ნაწილის მილიციის უფროსის მაგიერობას ეწევა სარაინო კომისარი. ამასთან შტატში ნაჩვენები ქნება: „თბილისის გუბერნიაში 32 სარაიონო კომისარი, ქუთაისის გუბერნიაში 24, და სოხუმის ოლქში 4. ესენი ყველანი მილიციის ნაწილის უფროსის თანამდებობაზე იქნებიან.

თვმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ივანიცკის.

რ. ივანიცკი. (ერ.დემ.) ამ კანონპროექტში იმ ადგილს, სადაც ლაპარაკი არის სამაზრო კომისრებზე არაფერია ნათქვამი ზაქათალის ოლქზე. თუმცა ვერ შევძლებთ დამტკიდებით მის თქმას, რო ეს ოლქი სადაო არ არის და ჩვენ დაგვრჩება, მაგრამ ამას ექნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. მე მოვითხოვ, რომ შტატებში მოხსენებული იყოს ზაქათალის ოლქიც. ამით იმას დავამტკიცებთ, რომ ამ ოლქს ჩვენ ვსთვლით საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად.

თავმჯდომარე. მე კენჭს უყრი ჯერ იმ შესწორებას, რომელიც შემოიტანა საბჭოს წევრმა ნინიძემ. შემდეგ იმ დამატებას რომელიც შემოიტანა საბჭოს წევრმა ივანიცკიმ ზაქათალის ოლქის შესახებ და რომელსაც დაეთანხმა მომხსენებელი.

ვინ არის წინაალმდეგი მეორე შესწორებისა გთხოვთ ხელი ასწიოთ?

მეორე წინადადებაც მიღებულია.

ვის სურს სიტყვა მეორე მუხლის შესახებ? გთხოვთ წაიკითხოთ.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მეორე მუხლს).

თავმჯდმარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს კირილე ნინიძეს.

კ. ნინიძე. ის შესწორება რომელიც შემოვიტანე ეხება მეორე მუხლს. მე ბოდიშს მოვიხდი რომ ასე მოხდა. ეს ახალი შესწორება გამოწვეულია იმ ცვლილებით, რომელიც მივიღეთ რაიონის კომისრის შესახებ. საქმე იმაშია, რომ რაიონის კომისარს ევალება მილიციის უფროსის თანამდებობა. ამიტომ პირველ მუხლის შემდეგ ასეთი შენიშვნა შევიტანოთ: რაიონის კომისარი არის იმავე დროს სარაიონო მილიციის უფოსი

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ შესწორების შესახებ? მომხსენებელი.

დ. თოფურიძე. მე თანახმა ვარ ამ შესწორებისა.

თავმჯომარე. ვის ნებავს მეორე მუხლის შესახებ.

კ. ნინიძე. ეს შესწორება ეხება იმ სარაიონო კომისრების ჯამაგირებს, რომელიც აქ გამოტოვებულია, და რომლის შტატებიც უნდა დაემატოს ამ მუხლს. სადაც არის აღნიშნული სარაიონო მილიციის უფროსის შტატი 4200 მანეთი—უნდა აღნიშნოს სარაიონო კომისიის შტატი 4200 მანეთი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა.

დ. თოფურიძე. მე თანახმა ვარ ამ შესწორების.

თავმჯდომარე. მომხსენებელი თანახმაა იმ შესწორებისა, რომელიც შემოიტანა საბჭოს წევრმა კირილე ნინიძემ. კიდევ ვის ნესავს მეორე მუხლის შესახებ? ფუ მეორე მუხლის შესახებ არავის ნებავს სიტყვა, მეორე მუხლი მიღებულია.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მესამე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინაალმდეგი? მაშ ეს მუხლი მიღებულია, გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. თოფურიძე, (კითხულობს მე 4-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის ამ მუხლის წინაადმდეგი? ეს მუხლიც მიღებულია.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მე 5-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინაალმდეგი? მაშ ეს მუხლი მიღებულია.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მე 6-ე მუხლს).

თავმჯლომარე. ვის ნებავს სიტმვა ამ კანონპროექტის შესახებ. კენჭს ვუყრი მთელ კანონპროექტს. ვინ არის წინაალმდეგი? არავინ. მაშასადამე მთელი კანონპროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

შემდეგი კანონპროექტი.

დ. თოფურიძე. ეს კანონპროექტი ეხება მილიოიის ჯამაგირის გადიდების შემოღებას.

აქაც ახალი ჯამაგირი ნაჩვენებია პირველ და მეორ ხარისხის ქალაქების შესახებ. შემოღებულ იქმნას ნაჩვენები ნორმა ამა ივლისის 1 დან ამასთან სამაზრო მილიციის ცხენების სცკვებად უნდა გადაიდოს სათანადო თანხა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს სამს. დადიანს.

სამს. დადიანი. (სოც. ფედ.) მოქალაქენო, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სამივე კანონ-პროექტი ეხება ერთსა და იმავე დაწესებულებას, ერთსა და იმავე უწყებას, როგორც მიღებული ისე ის კანონპროექტები, რომლებიც უნდათ განვიხილოთ, ამიტომ ნება მიბოძეთ ზოგადო მოსაზრებანი მოგახსენოთ ყველას შესახებ. საერთოდ როდესაც ჩვენ გვიხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენება ყოველი ჩვენი ნაბიჯი აქეთკენ გადადგმული არის ერთგვარი კომპრომისი სოციალისტურ შეგნების წინაშე. ასეთი კომპრომისები მათ უფრო სჭირდება იმ სოციალისტურ პარტიას, რომელმაც ხელი მოჰკიდა სახელმწიფოს აღმშენებლობას. ასეთ კომპრომისების შედეგია მრავალი ის საკითხი, რომელიც ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ წამოაყენა და საბჭომ დაადასტურა. ამ მდგომარეობას სოციალიზმის მოწინააღმდეგენი სიხარულით და განგაშით აღნიშნავენ: აი მარცხდება სოციალიზმი და თავიანთის აზრით, სოციალისტურ იდეების გაკოტრებას დღესასწაულობენ, თვით სოციალისტებს კი ეს მწარე გულის ტკივილს ჰგვრის, მაგრამ ჩვენ იმ იმედითა ვცხოვრობთ, რომ მალე არ დაგვჭირდება, ეს განსაკუთრებული ზომები, ვინაიდან გავამაგრებთ და განვამტკიცებთ ჩვენს დამოუკიდებულებას, ჩვენს რესპუბლიკას და ეს გულისტკივილი სიხარულით შეგვეცვლება.

მე მაგონდება საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსი სოკრატი, საწამლავის დალევინების წინ მას ბორკილები ახსნეს. სოკრატმა ხელი მოისვა წყლულზე, დაიკავა და თავის მოწაფეს უთხრა: ხედავ, როგორ გადაბმულია ერთმანეთზე სიმწარე და სიტკბოება, სიამეო? და აი მე დარწმუნებული ვარ თუ სოციალისტების გულში ეხლა არის ტკივილი, მალე ეს ტკივილი სიხარულათ შეგვეცვლება. ეს არ უნდა ავიწყდებოდეთ ჩვენს მტრებს და აგრეთვე სოციალიზმის მოწინააღმდეგეებს.

უმთარესი იარაღი ძველი წყობილების წინაალმდეგ ეს იყო ამ წყობილების უვარგისობა. ძველი მთავრობა ხალხის ფულის დიდ, უმეტეს ნაწილს ახმარებდა პოლიცია-ჟანდარმჯაშუშებს და არა საკულტურო-საგანმანათლებლო საქმეს.

დღესაც ასეთი მოვლენა ჩვენ არა სასურველ მოვლენად მიგვაჩნია ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ ეს აუცილებელი ხდება, როდესაც ჩვენ ვიღებთ მხედველობაში იმ ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობას, იმ ანარქიას, რომელმაც მოიცა ჩვენი მხარე, და იმ აუარებელ მტრებს, რომლებიც ძირს უთხრიან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს აქ წარმოდგენილ ზომებს. ჩვენ, რასაკვირველია ძლიერ დიდად მიგვაჩნია 24 მილიონი მანეთის გადადება, რომელიც საჭიროა ამ პროექტის განსახორციელებლად. საკულტურო-საგანმანათლებლო საქმისთვის გაცილებით ნაკლები დაიხარჯებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც მხარს უჭერთ მთავრობას. ასეთი დიდი ჯამაგირის გადადება გამოიწვია არსებულ ადმინისტრაციის უვარგისობამ, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა მიაქცევს ყურადღებას, ყოველგვარ ზომებს მიიღებს რომ ამ მაღალ ჯამაგირებს მაღალი ხარისხის მოხელენი მოჰყვნენ.

მართლაც რას წარმოადგენს დღეს ჩვენი ადმინისტრაცია? გვივარგა თუ არა? დაეკითხეთ თვით მთავრობას. თქვენ გაქვთ საშუალება გაეცნოთ შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ ერთ კანონ-პროექტის განმარტებას, სადაც აღწერილია ჩვენი მდგომარეობა, და დამეთანხმებით, რომ დღეს ჩვენ ადმინისტრაცია არა გვყავს. ამას აშკარად აღიარებს თვით მთავრობა. ასეთი ადმინისტრაცია არა ღირს იმ თანხად, რომელიც მასზე დაიხარჯება. მაგრამ ვიღებთ, რა ამას მხედველობაში ჩვენ საჭიროდ მიგყვაჩნია: მივსცეთ მთავრობას მეტი საშუალება, რომ უკეთესი ხარისხის ადმინისტრაცია მივიღოთ. მაგრამ ეს არა კმარა საქმე ის არის, რომ ყოველს უფლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაცია ჩაყენებულია უფლებრივ კალაპოტში, სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს ის კანონები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციამ.

ძველი კანონები ჩვენ გამოვცვალეთ. მე-17 ტომის პროექტი უნდა შევიმუშაოთ. ამიტომ აუცილებელად საჭიროა დაევალოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიმუშაონ დაწვრილებით ინსტრუქცია ჩვენი ადმინისტრაციის სახელმძღვანელოდ.

მათ უნდა აღნიშნონ აგრეთვე ის ელემენტარული უფლებანი მოქალაქის და ადმინისტრაციისათვის.

მაგრამ, თუ ჩვენ უფრო მეტ ზომებს არ მივიღებთ, რომ ჩვენ მოხელეთა შორის განმტკიცდეს შეგნება პასუხისმგებლობისა, უეჭველია, რომ ჩვენ არა სათანადო თანხები, არამედ შეგნება პასუხისმგებლობისა, მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდის, რომ საჭირო აღარ იქნება ის ზომები, რომლებსაც ჩვენ იძულებულნი ვართ დღეს ხელი ჩავჭიდოთ.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა კიდევ მთავრობის წინადადებაზე? სიტყვა არავის ნებავს. გთხოვთ წაიკითხოთ კანონ-პროექტის პირველი მუხლი.

დ. თოფურიძე. (კითხულობს კანონ-პროექტის პირველ მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ვინ არის წინაალმდეგი? მაშასადამე პირველი მუხლი ამ კანონ-პროექტისა მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მე-2 მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? ეს მუხლი მიღებულია.

დ. თოფურიძე. (კითხულრბს კანონ-პროექტის მე-3 მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა მესამე მუხლის შესახებ? ვინ არის წინაალმდეგი მესამე მუხლისა? მაშასადამე მესამე მუხლიც მიღებულია.

დ. თოფურიძე (კითხულობს მე-4 მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა მე-4 მუხლის შესახებ? ვინ არის წინაალმდეგი. მაშასადამე მეოთხე მუხლიც მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

დ. თოფურიძე (კითხულობს შენიშვნას). შენიშვნის შესახებ ადგილიდან სიტყვას თხოულობს რ. არსენიძე.

რ, არსენიძე. მე მგონი, რომ ეს შენიშვნა აქ უადგილო-ადგილას არის მიწებებული. აქ ჩვენ გვაქვს კანონი ჯამაგირების ძომატების შესახებ. ამით ჩვენ უნდა გადავდოთ ის თანხა, რაც საჭირო იქნება მათ ჯამაგირისათვის იანვრის პირველამდე. შემდეგ, როგორი პრინციპი გვექნება სახელმძღვანელოდ არ ვიცით. მთელი მილიცია იქნება ერობის ხელში, თუ არა ჯერ-ჯერობით არ ვიცით, ეს გამორკვეული არ არის. აქამდის ჩვენ ვეხმარებოდით ქალაქებსაც. ეს პრინციპი დარჩება თუ არა შემდეგ მიაც ჯერ არ ვიცით. ამიტომ ნაწილი მილიციის შესანახ ხარჯისა ჰქონდეს თვითმმართველობს და ნაწილი მთავრობას. ჩემის აზრით ეს შენიშვნა უნდა ამოიშალოს და მიენდოს თვითმმართველობის კომისიას, რომ იქ ამ კითხვას მიაქციონ ყურადღება და თავისი აზრი წარმოადგინოს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა კიდევ ამის შესახებ? სიტყვა არავის ჰსურს. აქ არის წინადადება, რომ ეს შენიშვნა მოიხსნასო. ვის ჰსურს ამის შესახებ? რა აზრისაა მომხსენებელი.

დ. თოფურიძე. მე საწინააღმდეგო არა მექნება-რა, რომ ეს შენიშვაა მოიხსნას.

თავმჯდომარე. მომხსენებელი თანახმაა, რომ შენიშვნა მოიხსნას. ვინ არის ამის წინაალმდეგი, რომ შენიშვნა არ იქნეს მოხსნილი. შენიშვნა უარყოფილია.

თავმჯდომარე. ახლა მოსასმენია შტატები, თუ გნებავთ. წაიკითხეთ.

დ. თოფურიძე. (კითხულობს მილიციის შტატებს).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ფრაქციის სახელით ერთი მცირედი შესწორება უნდა შემოვიტანო. ნაწილის მილიციის უფროსის მოვალეობა ევალება რაიონის კომისარს ამიტომ შეუძლებელია ერთ და იმავე პირს ორი კანონ-პროექტით ორჯელ მიეცეს ჯამაგირი. რაკი ნაწილის მილიციის უფროსობა რაიონის კომისარს დაეკისრა, და რაიონის კომისარი სათანადო შტატის მიხედვით მიიღებს ჯამაგირს, ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი, რომ ამ კანონ-პროექტთან დართულ შტატებიდან ამოირიცხოს ის ჯამი, რომელიც უნდა მისცემოდათ ნაწილის მილიციის უფროსს. (სიტყვას თხოულობს რ. ივანიცკი)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ივანიცკის.

რ. ივანიცკი (ერ. დემ.) წელან საბჭომ ჩემი პირველი შენიშვნა ზაქათალის ოლქის შესახებ—მიიღო, მე მეგონა, რომ მის შემდეგ წარმოდგენილ კანონ-პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში ნახსენები იქნებოდა ხსენებულ ოლქის საადმინისტრაციო შტატები. მაგრამ ეს ასე არ არის. მე მინდა შევიტყო, იმ ოლქის შესახებ, შემდეგ სეპარატიული, ცალკე კანონ-პროექტი გამოიცემა თუ არა? რაკი ჩვენ მივიღეთ ზაქათალის ოლქი საქართველოს კომპეტენციაში.—კომისიის წარმომადგენელმა საადმინისტრაციო შტატების დანიშვნის დროს, ესეც უნდა მიიღოს მხედველობაში.

დ. თოფურიძე. კომისიის სახელით მე თანახმა ვარ ორივე წინადადების მიღებაზე.

თავმჯდომარე. აქ ორი წინადადება არის შემოსული, ერთი საბჭოს წევრის არსენიძის და მეორე ივანიცკის. ჯერ პირველ წინადადებას უყრი კენჭს. ამ წინადადებით კანონონ-პროექტთან დართულ შტატებიდან უნდა ამოირიცხოს ნაწილის მილიციის უფროსის შტატი. ვინ არის ამის წინაალმდეგი? არავინ. მაშასადამე პირველი წინადადება მიღებულია. ეხება პირველ ხარჯთაღრიცხვას.

მეორე წინადადება საბჭოს წევრის ივანიცკის, მოითხოვს, რომ ამ შტატებს დაუმატოს ზაქათალის ოლქის საადმინისტრმციო შტატი ეს ეხება მეორე ხარჯთ-აღრიცხვას. ვინ არის წინაალმდეგი ამ შესწორების? შესწორება მიღებულია.

კენჭს უყრი ახლა მთლად კანონ-პროექტს. ვინ არის წინაალმდეგი? მაშასადამე კანონ-

პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ საბჭოს წევრი საბახტარიშვილი.

კ. საბახტარიშვილი. დღეს დღეობით, ბატონებო, არსებობს მხოლოდ სამაზრო მილიცია. სოფელს ადმინისტრაცია ისე, როგორც მაზრას არა აქვს. და აი სწორედ ამისთვისაა ეს კანონ-პროექტი შემოტანილი. მე მგონია, რომ ის ანარქია, რომელიც სუფევს სოფლად და ის უწესობა, რომელიც სოფლად არის, სწორედ ამ ადმინისტრაციის, ამ მილიციის უქონლობით არის გამოწვეული.

თუ რომ ადმინისტრაციის დაწესება არის სადმე საჭირო ეს სწორედ სოფელია. თუ ადმინისტრაცია არ შევქმენით სოფლად ვერც ერთ კანონ-პროექტს ვერ განახორციელებთ. ჯარს ხომ უნდა ბატონებო, მოწვევა და უადმინისტრაციოდ ჯარს ვერ მოიწვევთ, რადგან არ იქნება ერთნაირი ძალდატანებითი აპარატი სოფლად.

მიწის რეფორმის გასატარებლად საჭიროა ადმინისტრაცია, ამ კანონ-პროექტის აზრით ყოველ სოფელში უნდა დაინიშნოს ერთი საზოგადოების კომისარი და 5 მილიციონერი. თბილისის გუბერნიაში დაინიშნება 193 საზოგადოების კომისარი, ქუთაისის გუბერნიაშიც 193 და სოხუმის ოლქში 52 კომისარი. სოხუმის ოლქში სულ 260 მილიციონერი იქნება. ამ შტატით მთელ საქართველოს ტერიტორიაზე იქნება მილიციაში 2.190 კაცი. წლიურ ჯამაგირად სოფლის მილიციონერს უნდა დაენიშნოს 22 თუმანი, საზოგადოების კომისარს 300 მან. მის განკარგულებაში იქნება კანცელიარიის ხარჯებისათვის 450 მან. საერთოდ საჭირო იქნება სულ 9.723.600 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვას შეუდგეთ? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

## პრესის მიმოხილვა.

დაშნაკელების ორგანო „ჰორიზონ"—ი გაკვეთილად იყენებს ჯუღაშვილის მიერ რაჭის ბოლშევიკებისადმი გამოგზავნილ წერილს.

ამ ერთი კვირის წინ ყველა ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა ის წერილი, რომელითაც მიმართა სტალინ-ჯუღაშვილმა, ეროვნებით ქართველმა, რაჭის ბოლშევიკებს. ჯუღაშვილი სთხოვდა მათ: შეეწყვიტათ ყოველივე გამოსვლა დამოუკიდებელ საქართველოს ნორჩ მთავრობის წინააღმდეგ, რასაკვირველია პირველ შეხედვისთანავე გაგიკვირდებათ რომ ბოლშევიკი ჯუღაშვილი თხოულობს მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებს შეწყვეტას, მაგრამ თუ ობიექტიურად ჩაუკვირდებით ამ გარემოებას, დავინახავთ, რომ არაფერია აქ ამაღელვებელი და განსაცვიფრებელი. ამ წერილში თვით ცხოვრება მეტყველებს თავის ცოცხალ ენით, გრძნობებით და გონებით. ეს წერილი ბუნებრივი გამოხატულებაა ქართველურ სისხლის და ფიქოლოგიის, რაც ქართველ ჯუღაშვილს კიდევ შერჩენია. ინტერნაციონალი-ინტერნაციონალია, მაგრამ სამშობლოც-სამშობლოა. ამის გარჩევა მხოლოდ ჩვენ, სომხებმა, არ ვიცით.

ჩვენ რასაკვირველია განცვიფრებაში არ მოუყვანივართ ჯუღაშვილის წერილს, რადგან თუ ეს წერილი მართალია, დიდს არა ბუნებრივ რამეს არ წარმოადგენს. დამახასიათებელია, ის უმთავრესათ ბ. ჯუღაშვილისთვის, რომელიც, ამას წინათ, ბრძანებას სცემდა—საქართველოს პური არ მისცეთო. ცივი ჩრდილოეთი ძმათა სისხლის ზღვად გადაიქცა, და რასაკვირველია, რომ უიალქნო ნავოსანთ ბოლოს და ბოლოს ჩვენს ერთად-ერთ თვალწარმტაც კუნძულისკენ მოაპყრან გულის ყური? რასაკვირველია ეს არვის ეძრახვის. მაგრამ ის კი მართლა „ჰორიზონ"-ისებური თქმაა, თითქოს სამშობლოსა და ინტერნაციონალის გარჩევა მხოლოდ სომხებმა იციანო, შაუმიანი რატომ არ გაახსენდა გაზეთს? მოიგონეთ ის დეკრეტი, რომელიც გამოსცა მან ოსმალეთის სომხეთის შესახებ, როდესაც „განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილ კომისრის" ფირმანით შემობრძანდა თბილისში! ნამდვილათ, ჩვენის შემეცნებით სამშობლო და ინტერნაციონალი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მათ სინტეზს მხოლოდ დემოკრატიული აზროვნება და დემოკრატიული მოქმედება ახდენს.

***

„ჰორიზონ"-ის უმცროს ძმას „აშხატორ"-ს მადლობა ღმერთს, ფერი უცვლია. გუშინ ერთი ჰქონდა უმთავრესი საზრუნავი,—და ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა, დღეს შეგნებულ ადამიანის პირით ამეტყველებულან. ჩვენ ვიცოდით, რომ „ამდენ მგელთა ყმუილი უამბოდ არ გათავდებოდა" და აკი არც გათავდება. ჩვენ ამაზე

მწარე მოგონებანი დაგვრჩება. მაგრამ რაც მოხდა მოხდა. ისტორია ყველას ღირსეულად მოიხსენიებს. ეხლა კი მოვუსმინოთ „აშხატორ-"ს:

არვის არ შეუძლიან უარყოს ის, რომ ამიერ-კავკასიაში საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც გადურჩა დარბევას, დაშლას, ძალმომრეობას და დესპოტიზმის უღელს, და ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია ადამიანური ცხოვრება. ჩვენ არ შეგვიძლიან, არ გავიზიაროთ საქართველოს დამოუკიდებლობა და არ ვიმოქმედოთ მის განსამტკიცებლად. მხოლოდ ერთი საქართველოა, სადაც ნახევარი მილიონი სომეხი მყუდრო ცხოვრებას მისდევს თავის დიდიხნის მეზობელთან. მხოლოდ საქართველოში იყო, რომ ჰპოვებდა მყუდრო ბინას უბედური სომეხი ლტოლვილი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისევ საქართველოა, სადაც სომეხი მეგობრულ და თბილ მოპყრობას ჰპოვებს.

ძლიერი საქართველო, ეს ბჭეა ჩვენი სამშობლო სომხეთისა, რადგანაც ძლიერი საქართველო ყოველთვის შესძლებს სომხეთის დახმარებას.

ჩვენ რაღა გვეთქმის? კარგია ეს დროზე შეიგნონ სომხის ერის ყველა ხელმძვანელებმა და თავის ბრმა პოლიტიკის მწარე ნაყოფი ააცდინონ სომხის დემოკრატიას.

დროა!

## ხალილ-ფაშა თბილისში.

4 ივნისს ღამით თბილისში ბათომიდან სტუმრად ჩამოვიდა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ხალილფაშა თავის ამალით. აქ დარჩება რამდენიმე დღე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ხალილ-ფაშას პირადად საქართველოს დედა ქალაქში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საქართველოს რესპუბლიკისა და ოსმალეთის შორის სადავო პოლიტიკური კითხვების სასურველად გადაწყვეტას და კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას და განმტკიცებას მომავალში.

## ბაქოს გარშემო.

უკანასკნელათ მიღებული ცნობები ბაქოს ალების შესახებ რომ გამართლდეს კიდეც ბაქოს ტრაღედია ამით დასრულებულად არ ჩაითვლება. დაწვრილებით არ ვიცით თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან ამ ჟამად ბაქოს მცხოვრებნი, ვინ არის მისი შინაური ცხოვრების გამგე, როგორია წესრიგი ან ვინ იცავს მას.

იმედი უნდა ვიქონიოთ ქალაქი და მისი მცხოვრებნი გადარჩებიან დარბევას და შურისძიებას. ბაქოს ბედით ძალიან უნდა იყოს დაინტერესებული გერმანია, რომელიც არ დაახანებს თავის ყურადღების მიქცევას ბაქოს ვითარებისკენ.

მოსალოდნელია ახლო მომავალში მიმოსვლის აღდგენა ბაქოსა და საქართველოს შუა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საერთოთ ჩვენი მდგომარეობისთვის, კერძოთ ეს შეამსუბუქებს იქ მომწყვდეულ 10-15 ათასამდე ქართველის მდგომარეობას, რომელიც დღეს პირდაპირ აუტანელია. მათ უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ ყურადღება.

### ფიქრები და შენიშვნები.

ჩვენი მთავრობა, რომლის უმთავრეს საზრუნავ საგანს, ამ ჟამად საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა-განმტკიცება შეადგენს, ახორციელებს ამ მიზანს შესაფერი კანონების თანახმად. რამდენად რთულია თვით შინაარსი ამ საკითხის, იმდენად რთული და მრავალმხრივია ის კანონები და საერთო ზომები, რომელსაც მთავრობა მიმართავს ამ უდიდესი ისტორიული საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად.

შეიძლება, მომავალი პირუთვნელმა ისტორიკოსმა ამა თუ იმ მხრით ნაკლულევანებანიც მონახოს იმ კანონებში, რომელთაც ადგენს ეროვნული საბჭო ამ მეტათ მძიმე პირობებში, მაგრამ ყველასათვის აუცილებელ ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს კანონების შექმნის დროს, ერთხელაც არ უღალატნია თავის სახელმძღვანელო პრინციპისათვის:

უაღრესად დემოკრატიული პრინციპები აქ მუდამ დაცული არიან.

ამიტომ მოსალოდნელიც იყო, რომ სწორედ ამ პრინციპებზე აგებულს, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ უკვე გამოქვეყნებულ კანონს ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატი სრული კმაყოფილებით შეხვდებოდა. კანონი ყველას, მიუხედავათ იმის, ქართველია იგი თუ სხვა ტომის, თანასწორ უფლებას ანიჭებს; ეს გარემოება აუცილებლად მოითხოვს, რომ საერთო სამშობლოს წინაშე მოვალეობის აღსრულებაც აგრეთვე საერთო და თანასწორი იყოს ეს არის შეურყეველი ქვა-კუთხედი ყოველი კეთილ-გონიერ სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, საზოგადოებრივი სამართლიანობის დაცვისა, ეს არის უმთავრესი დებულება სახელმწიფო და საერთაშორისო უფლებისა. ამას თხოულობს დემოკრატია და მისი პრინციპები.

მიუხედავათ აქ ნათლად დაყენებულ საკითხისა, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში კიდევ მოინახებიან ისეთი პირნი, რომელთა განზრახვანი სულ სხვა ფერისანი არიან და რომელნიც ირწმუნებიან, რომ მათი მდგომარეობა გამტკიცდება მაშინ, როცა მათი მომხრენი უფრო მრავალ-რიცხოვანი იქნებიან საქართველოში.

უნდა იცოდეს ყველამ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სცხოვრობს, რომ ვერავითარი მრავალრიცხოვნების ხელოვნურად შექმნა თუ კიდევ სხვა ამ გვარი გარემოება ვერ გახდება ვერასოდეს იმ ფაქტორად, რომელმაც უნდა შესცვალოს საქართველოს პოლიტიკური ძალთა განწყობილება და მისი თავისუფლების გაუქმება, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, საქართველოს „სრულუფლებიანობა", დღეს ქართველი ერისათვის წმიდათა წმიდას შეადგენს, რომ საქართველოს დემოკრატია არ მისცემს. არავის არც ნებას, არც საშუალებას, რომ ეს მისი ძვირფასი განძი ოდნავადაც იქნეს შებღალული.

ქართველმა ხალხმა ყველა ერის უფლების პატივისცემა იცოდა წარსულში, ეს მას დღეს უკეთესად აქვს შეგნებული. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს თავის ღირსებას და თვისებებს. მაგრამ ის ამავე დროს მოითხოვს, რომ სხვებმაც პატივი სცეს მის თავისუფლებას და დემოკრატიულ წესწყობილებას. საქართველოს რესპუბლიკა საერთო სამშობლოა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ ხალხისა განურჩევლათ სარწმუნოებისა და გვარტომობის.

საქართველოს თავის დამოუკიდებლობას, თავის თავისუფლებას და დემოკრატიას ყოველთვის დაიცავს და ყოველ ხელის შემშლელს სასტიკათ შეებრძოლება. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ქართველი ხალხი და მისი დემოკრატია დღეს წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს იმ დიდი ენერგიისას, რომელიც თავდებია ჩვენი რესპუბლიკის განვითარება-აყვავებისა, რომელიც მოგვცემს უეჭველს საშუალებას ყოველთვის მოვიგერიოთ როგორც შინაური, ისე გარეშე მტერი.

დ.

## საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიური მომავალი.

გადასახადთა თეორიის თვალსაზრისით თამბაქო არის პირდაპირ შეუდარებელი ობიექტი. უპირველესად ყოვლისა ის არის პირველი მოთხოვნილების საგანი. თამბაქო საზოგადოდ შეიძლება ჩაითვალოს პირობითი მოთხოვნილების საგნად, კარგი პაპიროსი და სიგარა კი ფუფუნების საგნად. ამისათვის თამბაქოზე და განსაკუთრებით მაღალ ხარისხის თამბაქოზე დადებილი გადასახადი სოციალურ პოლიტიკური თვალსაზრისით უკმაყოფილებას არ გამოიწვევს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე მომენტისთვის.

ამას გარდა თამბაქოს საწარმოები ბევრგვარია და მათი ფასიც სხვა და სხვაა. ამ საშვალებით მყიდველს შეუძლია აირჩიოს თამბაქო თავის ჯიბის და შემოსავლის მიხედვით. თამბაქოს წარმოება დიდ შემოსავალს აძლევს იმ რაიონებს, სადაც ის მოჰყავთ, მხოლოდ რაც შეეხება მის გადამუშავებას ქარხნებში, აქ უნდა ითქვას, რომ ბევრი მუშა იღებს დიდ ხელფასს და თანაც სამუშაო საკმარისად იოლია. ამიტომ თამბაქოს წარმოების ფართო განვითარება, როგორც მაღალ-ინტენსიური კულტურისა, სასურველია და მას უნდა სიამოვნებით მივესალმოთ.

მხოლოდ აქ ზემოაღნიშნულ გარემოებათ არ ექნებოდათ დიდი ფასი, რომ თამბაქოს მოყვანა არ მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის არ წარმოადგენენ ერთ-ერთ თვალსაჩინო დარგს ადგილობრივ წარმოებისას. საქართველოს ტერიტორიაზე ყოველ წლიურად მოჰყავთ მაღალი ხარისხის თამბაქო არა ნაკლები 600 ათასი ფუთისა, რომელიც მაღალი ღირსებით არაფრით არ ჩამოუვარდება ოსმალეთის და ყირიმის საუკეთესო თვისების თამბაქოს.

აქედან ცხადაც სჩანს, რომ თამბაქოს მოყვანის საქმე საქართველოში განსაკუთრებით კარგ პირობებშია; ამ გარემოებით კი უნდა ვისარგებლოთ, რომ თამბაქოს გადასახადი გახდეს შემოსავლის ერთ დიდ დარგათ, რითაც შეიძლება რაოდენათ მაინც ანაზღაურება ნავთიდან შემოსავლის დაკარგვისა და თანაც შექმნა იმ ნიადაგისა, რომელზედაც, საზოგადოთ უნდა აშენდეს ჩვენი სახელმწიფოს მომავალი საფინანსო პოლიტიკა.

რომ უფრო კარგად შევიგნოთ აქ აღძრული კითხვის დიდი მნიშვნელობა, საკმარისია ვსთქვათ, რომ ამ ჟამად ქარხნებში უკვე დამუშავებული თამბაქო იძლევა ფუთზე შემოსავალს (აქციზი) 196 მან. რუსეთში ქრისტეშობისთვიდან სააქციზო გადასახადი ორჯერ გადიდებულია საქართველოში არსებულ სააქციზო გადასახადთან შედარებით; არ არსებობს არავითარი საბუთი იმის წინააღმდეგ, რომ საქართველოშიაც არ გავადიდოთ ეს გადასახადი. ამრიგად, შუათანა რიცხვით ნაანგარიშევი, ფუთიდან შემოსავალი გადიდდებოდა ორჯერ, საერთო შემოსავალი კი რამოდენიმე ათი მილიონით განიზომებოდა. იმის შესახებ, თუ აქ განზრახული შემოსავლის რაოდენი ნაწილის მიღება შეგვიძლია ახლო მომავალში. ან როგორი უნდა იქნეს გადასახადის პოლიტიკა, რათა სავსებით და განუწყვეტლივ ვისარგებლოთ აქ ჩამოთვლილ ფინანსიური სახსრებით, ყველა ამის შესახებ დაწვრილებით შევეხებით შემდეგ წერილებში.

ალ. გ—ძე

## მოსკოვიდან ჩამოსულის ნაამბობი და შთაბეჭდილებანი.

ჩვენს რედაქციას ესტუმრა მოსკოვიდან ჩამოსული ჩვენში კარგად ცნობილი ახალგაზდა ა—შვილი, რომელმაც შემდეგი ზოგიერთი საგულისხმიერო ცნობები მოგვაწოდა:

„საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ რუსეთის მთავრობასთან დანიშნული რწმუნებული ხუნდაძე, რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას ჯერაც არ უცვნია. ხუნდაძეს, გერმანიის საელჩოს დახმარებით, უნდოდა გამოერკვია ბოლშევიკური მთავრობის პასუხი, მაგრამ მირბახის სიკვდილმა ჯერ ხანად ამ განზრახვას ხელი შეუშალა. არის კი იმედი, რომ გერმანიის ჩარევა გამოარკვევს ამ საკითხს. მოსკოვში რამდენიმე დღის ცხოვრება და გაზეთების თვალყურის დევნება საკმარისია, რომ დარწმუნდეს კაცი, თუ რა საშინელი სახელმწიფოებრივი ქაოსი ტრიალებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და ცხოვრებაში. ბოლშევიკებს შორის დიდი განხეთქილებაა. ლენინისა და მისი მომხრეთა შორის აზრით, რუსეთში ბურჟუაზია უკვე დამარცხებულია. საჭიროა მხოლოდ შებრძოლება გლეხთა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებთან. ამის საბრძოლველ საშუალებათ, ლენინის აზრით, საჭიროა დაარსდეს აგრედ წოდებული ღატაკთა კომიტეტები, რომელიც შემოიკრებს თავის გარშემო ძლიერ ძალას და ამ ძალით გლეხთა წვრილ ბურჟუაზიას დავამარცხებთ და დავამყარებთ წესიერ ცხოვრებასო. თავიანთი გზის განსამტკიცებლად ასეთი თეზისი აქვთ შემუშავებული: „სძარცვე ნაძარცვი". და ეს თეზისი ლოზუნგათ გადააქციეს და და ბრბოში გადაისროლეს. ბოლშევიკურ იდეის გავრცელებას რომ ხელი შეუწყოთ და პრაქტიკულათ განვახორციელოთ უნდა მსხვილ ბურჟუაზიასთან შევაჩეროთ ბრძოლა და მათი წრეებიდან სპეციალისტები მოვიწვიოთ სახელმწიფოებრივ სხვა და სხვა ტეხნიკურ საქმეების შესასწავლად, და მათი ხელმძღვანელობით, კონტროლის ქვეშ პროლეტარიატმა შეითვისოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მოწყობაო. თუმცა თითონაც აღარა სჯერათ და უნაყოფოთ მიაჩნიათ ბრძოლა, რადგან უაღრესი პესიმიზმით არიან შეპყრობილნი. ბუხარინი კი სულ წინააღმდეგი აზრისა არის, და ამბობს რომ თუ მსხვილ ბურჟუაზიასთან ბრძოლას შევაჩერებთ, ეს იმათ დროს მისცემს, ძალას შემოიკრებენ და ამით სამუდამოთ დავღუპავთ რევოლიუციის საქმესო. საჭიროა, რომ მთელი ძალა უფლება საბჭოების ხელში დარჩეს და პერსონალური დიქტატურა მოისპოსო. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის კითხს, ბოლშევიკების ყველა მიმდინარეობას მიზანში ჰყავს ამოღებული მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და განსაკუთრებით კი სოც.-დემ. მენშევიკების ლიდერები ირ. წერეთელი, ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე ა. ჩხენკელი და ე. გეგეჭკორი, რომელთაც აბრალებენ იდეის ღალატს.

თუმცა კერძოდ ა. ჩხენკელზე ლენინი ამბობს, რომ ის კაცი გმირია, რომელმაც მოსკოვის თათ ბირზე სთქვა: „მე სხვა და სხვა ერების წარმომადგენლების მრავალი სიტყვები მოვისმინე, მხოლოდ რუსეთის წარმომადგენლის სიტყვა არ მსმენიაო". მარტოვის აზრით კი ბოლშევიკები მართალნი არ არიან, როდესაც იდეის ღალატს აბრალებენ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს და კერძოთ ქართველებს, რომელთაც კი არ უღალატნიათ, არამედ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნეს, როდესაც ბათომის ბრძოლა წააგესო.

რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვა-გამ-

გეობის სისტება ლენინმა და ბოლშევიკურ ცენტრალურ კომიტეტის წევრთა მცირე რიცხოვან ჯგუფმა, უსაზიზღრეს ჯაშუშობაზე ააგეს. ფაქტიურად საბჭოები არ არსებობს, რადგანაც საბჭოების დაუკითხავად ცენტრალური კომიტეტის პატარა ჯგუფი მართავს მთელს სახელმწიფოს.

ოპოზიციისა და სიმართლის ხმა, რომ არ მოესმინათ, ბალშევიკურმა მთავრობამ შემდეგი ზომები მიიღო: 4 ივნისს შესდგა სხდომა სრულიად მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტისა სხდომას უნდა გაერჩია ბალშევიკურ მთავრობის უკანონო მოქმედება, მაგრამ სხდომას გახსნისთანავე შეიარაღებულ ძალით გარეკეს. ამ შემთხვევას, რომ მდგომარეობა არ გაემწვავებინა, შეიმუშავეს ახალი კონსტიტუცია, მაგრამ რომ ამ კონსტიტუციის ძალით მენშევიკების და ესერების უმრავლესობა არ მოხვედრილიყო საბჭოებში, ახლად არჩეულებს გვერდით ამოუყენეს საბჭოების ძველი წევრები და ამ რიგად მაინც ბოლშევიკური უმრავლესობა დარჩა. ამის შემდეგ პეტროგრადში შესდგა უპარტიოთა ორგანიზაცია, თუმცა ინიციატივა მენშევიკებს ეკუთვნოდა, რომელიც შეეკითხა სხვა და სხვა ქალაქების მუშათა ორგანიზაციებს, სადაც რეზოლიუციები გამოიტანეს რადგან მთავრობას არ შეუძლიან აღადგინოს ც ხოვრების ნორმალური პირობები, სასწრაფოთ მოწვეული იყოს დამფუძნებელი კრებაო. ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანეს პუტილოვისქარხნის მუშებმა 8 ივნისს. ამავე ქარხანაში მთავრობის ინიციატივით 9 ივნისს წითელი გვარდიის ძალდატანებით წინადღით გამოტანილი რეზოლიუციის საწინააღმდეგო რეზოლიუცია გამოატანინეს. ამის გამო 10 ივნისს მოხდა მიტინგი სადაც განმეორებული და დადასტურებული იყო 8 ივნისის რეზოლიუცია; ამას მიემხრენ აგრეთვე ობუხოვის ქარხნის მუშები. შემდეგ უპარტიოთა კომიტეტმა სხვა და სხვა ქალაქებში გადაიტანა მუშაობა და მოიმხრეს ნოვგოროდის, ტულის, ვლადიმირის და ბრიანსკის ქარხნების მუშათა ორგანიზაციები, რასაც მოსკოვში თანაგრძნობით შეხვდენ. მოიწვიეს მოსკოვში კონფერენცია და როდესაც თათბირი დაიწყო სადღეისო საკითხების გარშემო, თავს დაესხა ბოლშევიკური მთავრობა, კონფერენცია გარეკა და 56 კაცი დაატყვევა. ამ შემთხვევამ დიდი მღელვარება გამოაწვია მთავრობის წინააღმდეგ, მოითხოვდენ დატყვევებულთა დაუყონებლივ განთავისუფლებას.

მთავრობა შეშინდა რომ ექსცესები არ დაწყებულიყო და დატყვევებულნი გაანთავისუფლა. რაც შეეხება საერთოდ პროვინცებს, ყველგან ბოლშევიკები მარცხდებიან, სამაგიეროდ უპარტიოთა კომიტეტის მიერ მოწყობილ ორგანიზაციებს სდევნიან და ამორჩეულ რწმუნებულს, რომელთაც საბჭოებისთვის ირჩევენ ატყვევებენ. გლეხებსა და გვარდიელების შორის მტრული განწყობილებაა. თავისუფალი ჰრესა სრულიად არ არსებობს. უსასტიკესი ცენზურა შემოიღეს, სადმე მომხდარი ამბავის უბრალო ცნობებისათვისაც კი გაზეთს ხურავენ, აჯარიმებენ. ხშირათაა ისეთი შემთხვევა, როცა ცენზურის გამო სრულიად „თეთრი გაზეთი" გამოდის, სადაც მხოლოდ სათაური და განცხადებებია დაბეჭდილი; ბოლშევიკური მთავრობის გაზეთებიდან კი სრულიათ ვერაფერს გაიგებთ რუსეთის ყოფა—ცხოვრების შესახებ. საგარეო პოლიტიკაში კი იმდენათ სუსტია, რომ ელჩი კამენევი, რომელიც თავის საელჩოში უნდა წასულიყო ფინლიანდიაში დაატუსაღეს დაიმის განთავისფლებაც ვერმოახერხებს. ორი ერთი მორის საწინააღმდეგო მოძრაობის შუა მოხვდა მოსკოვი. მონარქიულის-ჩრდილო კავკასიიდან და რესპუბლიკანურის, ჩეხო-სლოვაკების გავლენით—ციმბირიდან, ასე რომ მოსკოვის რაიონი სრულიად განცალკევებული დარჩა. ეს ორი მიმდინარეობა შუაგულ რუსეთში შეეხლებიან ერთი მეორეს და ჩემის აზრითო, მონარქიული მიმდინარეობა გაიმარჯვებს, რადგან ბოლშევიკურმა მთავრობამ ისე აურია და აწეწ დაწეწა საქმე, ისე გაძარცვა და გაბეზრდა რუსი მოქალაქე, რომ რესპუბლიკანური წეს-წყობილებისადმი მისწრაფებას ნიადაგი სრულიად გამოაცალაო.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო 5 აგვისტო.)

მიღებულია მოსკოვის რადიო-სადგურიდ ან რადგანაც ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს აზრად აქვთ რუსეთი კიდევ ჩაითრიონ ახალ ომში გერმანიის წინაამდეგ, საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მეომარ მოკავშირეთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ამ მოწოდებაში სხვათა შორის არის ნათქვამი: „ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა დაჰკარგეს იმედი, რუსეთის დაუხმარებლად გერმანიის დამარცხებისა. ამ მიზნით ისინი ყოველ ზომას ხმარობენ, რათა რუსეთში შეადგინონ ლაშქარი და ჩარიონ ის ახალ ომში. ინგლისისთვის და სხვისთვისაც ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანიის იმპერიალიზმის დამსხვრევა შეუძლია არა მოკავშირეთა იმპერიალიზმს, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ძლიერ ძალას. მაშასადამე, ჩვენ კი არ უნდა განვაგრძოთ ომი, რომელიც აძლიერებს მილიტარიზმს და ბურჟუაზიის პოზიციას, არამედ რაც შეიძლება ჩქარა გავათავოთ ის, რომ შემდეგ დავიწყოთ კლასთა ბრძოლა, რომელიც დამთავრდება ყველა ხალხთა სოციალური და ნაციონალური მოთხოვნათა კანონიერ დაკმაყოფილებით. ინგლისის, საფრანგეთის და შეერთებული შტატების ამხანაგო მუშებო! რუსეთის გერმანიასთან ომი ვერ დაგიცავთ თქვენ სისხლის ღვრიდან, პირიქით ის გააძლიერებს სისხლის ღვრას და გერმანიის იმპერიალიზმს შესწირავს მსხვერპლად ყველა რევოლიუციის მონაპოვარს. ეს რასაკვირველია, გერმანიის იმპერიალიზმისთვის ხელსაყრელია რადგანაც გერმანიას ყველაზე მეტად ეშინია რუსეთის რევოლიუციისა. ამხანაგო მუშებო და გლეხებო საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებულ შტატების, თუ თქვენ გახდით ბრმა იარაღი თქვენ მთავრობისა რუსეთის წინააღმდეგ შეთქმელებაში, თქვენ იქნებით რუსეთის რევოლიუციის ჯალათი.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 3 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. დღის განმავლობაში მზვერავთა რაზმების შეტაკება იყო. დრო გამოშვებით სწარმოებდა საარტილერიო ბრძოლა.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს კ რ ო ნ პ რ ი ნ ც ი ს ლაშქარი. გუშინდელი ჩვენი წინსვლა დიდათ გაადვილა გენერალ ბომეს 1 აგვისტოს გამარჯვებამ. ჩვენი ძველი ბრძოლის ველი მტრის ცეცხლში უყო გახვეული დილამდე და ზოგიერთი ადგილებზე შუადღემდისაც. შემდეგ გამარჯვების დროს 100 ტყვე წამოვიყვანეთ.

ლეიტენანტებმა უდეტმა, რიხტგოფენმა და ვიცე ფელდფებელმა (?) ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვეს.

ს ტ ა მ ბ უ ლ ი, 3 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. გუშინ, ფრონტის ზოგიერთ ნაწილებზე ინგლისელებმა გაძლიერეს საარტილერიო ცეცხლი. მდ იორდანეს აღმოსავლეთით ჩვენ გავფანტეთ მტრის მზვერავი რაზმები. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია.

მიღებულია მოსკოვის რადიო სადგურიდან.

მ ო ს კ ო ვ ი ტ ა შ კ ე ნ ტ ი ს თ ვ ი ს. 3 აგვისტო ტაშკენტში „სოვდეპ"-ს. გთხოვთ გვაცნობოთ, ფრონტის მდგომარეობა. მოსკოვიდან გამოვგზავნე 2000 წითელიგვარდიელი და 10 ჯავშნიანი ავტომობილი. ლენინი.

ბ ა ქ ო. მოსკოვიდან ტაშკენტით. 3 აგვისტო. ბაქო „სოვეპ"-ს. მაცნობეთ ბაქოს მდგომარეობა. რამოდენა მანძილზე არიან თათრები, საჭიროა თუ არა იარაღი? გამოვგზავნე 1000 წითელი გვარდიელი და 5 ჯავშნოსანი ავტომობილი. მოსკოვში ხმებია გავრცელებული ბაქოს აღების შესახებ. ლენინი.

ბ ა ქ ო დ ა ნ, ტ ა შ კ ე ნ ტ ი თ. ბაქოს მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. თათრებს ჯერ არ ძალუძთ დაიმორჩილონ ბალშევიკური ძალები.

## უ ც ხ ო ე თ ი.

### რასტოვში.

დონის როსტოვიდან ჩამოსული იუწყება რომ გენერალ კრასნოვის ბრძანებით დონის ოლქში მილიციის მაგიერ აღდგენილია ძველი პოლიცია და ჟანდარმერია. ქუჩებში ძველ „ფორმაში" გამოწყობილი პოლიციელები დგანან და სადგურებზე ჟანდარმები. ახლად აღდგენილ ინსტიტუტში მიიღებიან განსაკუთრებით ძველი ნაჟანდარმარი და ნაპოლიციელნი.

### ბაქოს ბედი.

როგორც ნემეცურ ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან, სტამბოლის კონფერენციაზე საკითხის გადაწყვეტამდე, ბაქო აღერბეიჯანის რესპუბლიკას შეუერთდება.

—

ჟენევიდან „Deutsche Tageszeitung"-ის საკუთარი კორესპოდენტი იტყობინება შემდეგს:

პარიზის პრესსის ცნობით, ვილსონმა გამოსცა ბრძანება არ უნდა იქნას გაგზავნილი ჩილი—ში არავითარი მინერალური ზეთი (ნავთი და სხვ...). გემები, ჩილი-ში მიმავალნი, გზიდან რადიოთი უკვე დააბრუნეს. პრეზიდენტის ეს ბრძანება ჩილის მრეწველობას სპობს, რის გამო ჩილი იძულებული ხდება მიემხროს მოკავშირეთა სახელმწიფოთ. მეორე მხრით ვილსონს უნდა ჩილი'ს შემწეობით მოახდინოს კონფისკაცია იმ ზეთისა, რომელიც გერმანიას აქვს იქ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი უნდა გამოიწვიოს გერმანიასა და ჩილი'-ს შორის სამარი განწყობილება.„

—

როგორც „Baltisch—Litauishen Mitteilungen"-ი იუწყება ამ მომავალ სამოსწავლო წლისათვის ქალ. დორპატში გერმანული უნივერსიტეტი განაახლებს ლექციებს. სტუდენტთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან, მხოლოდ ლექციების კითხვა კი 16 იმავე თვიდან. თავიდანვე ხუთი ფაკულტეტი იქნება გახსნილი, სახელდობ: თეოლოგიური, იურიდიული და ფიზიკო—მათემატიკური.

—

ლიტველთა საინფორმაციო ბიურო შვეიცარიაში იტყობინება:

ლიტველთა ეროვნულ მასაბჭომ დაადგინა ლიტველთა სახელმწიფოს მეფეთ მოიწვიოს ჰერცოგი ფონ-ურახი, რომელიც ძველ ლიტველთვა სახელმწიფოს მეფეთა დინასტიის შთამომავალია. ეს დადგენილება ლიტველთა საბჭოს აცნობა დელეგაციის მეშვეობით ჰერცოგ ფონ-ურახს. ჰერცოგმა დელეგაციის წინადადებაზე თანხმობა გამოაცხადა. ჰერცოგი მიიღებს ვიდმოვ II-ის სახელს, რათა ამით ყოფილი დინასტიის გაგრძელება იგულისხმებოდეს.

ამის შესახებ ჩვენ ხელთ გვაქვს ნახევრად ოფიციალური განმარტება:

„ლიტველთა საბჭოს ერთ ნაწილმა გერმანიის ნებადაურთველად პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს მგზავსად დაადგინა ლიტველთა სახელმწიფო საბჭო. შემდეგ კი, გერმანიის მთავრობის დაუკითხავად, ლიტველთა მეფეთ ჰერცოგი ფონ-ურახი ამოირჩია. თავის დროზე გერმანიის მიერ იყო აღიარებული ლიტვის დამოუკიდებლობა მხოლოდ იმ პირობით, რომ ამის შესახებ ყოველგვარი გადაწყვეტილებანი, რომელთა შორის, რასაკვირველია, აგრეთვე სახელმწიფოს ფორმის შემუშავების საკითხები იგულისხმებიან, უნდა მომხდარიყო გერმანიის ინტერესებთან შეთანხმებით".

შემდეგ, ხაზგასმულია რა ის გარემოება, რომ ლიტველებმა პირობა არ შეასრულეს, ვკითხულობთ გაზეთში ზემო-აღნიშნული განმარტების გაგრძელებას:

„არ შეიძლება ლიტველებს მივაკუთვნოთ უფლება საკუთარი ტახტის მემკვიდრეობის საკითხში დამოუკიდებლათ ამა თუ იმ დადგენილების მიღების, ამის უფლება მათ მით უფრო მეტი ჰქონდათ, რომ სახელმწიფო საბჭო და შემდგარი მარტოოდენ მათ მიერ, საერთო ხალხის დაუკითხავად, რის გამო ამგვარი საბჭო არ შეიძლება იყოს ნამდვილი, სრულუფლებით მოსილი წარმომადგენელი ლიტველთა ხალხისა".

ცნობა იმის შესახებ, რომ ჰერცოგი ფონ-ურახი უკვე დასთანხმდა დელეგაციის თხოვნას ნამდვილი არ არის

—

„Deutsche Tageszeitung"-ს მოჰყავს „Кіевская Мысль"-იდან ნოვოჩერკასში მომხდარ კონგრესის შესახებ შემდეგი ცნობა ნოვოჩერკასში შესდგა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა კონგრესი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე როდზიანკო. კონგრესმა აღიარა, რომ გადარჩენა რუსეთესა და მისი აღდგენა ძველ საზღვრებში შესაძლებელია მხოლოდ მონარქიის საშუალებით. ესევე გაზეთი „Letzte Neuheiten"-იდან ამოკრეფილ ცნობებს გადმოგვცემს: კიევში უკანასკნელ ხანებში შესდგა მონარქისტთა კონგერსი, რომელსაც დაესწრენ მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან მოსულნი პირნი. კონგრესის დევიზს შეადგენდენ სიტყვები: „რუსეთის გადარჩენა მხოლოდ მეფეს შეუძლია". კონგრესმა მიზნათ დაისახა შეერთება მთელ მონარქისტიული მოძრაობისა ერთ, განუყოფელ რუსეთის აღსადგენათ".

# ახალი ამბები.

◆ ქართული სამუსიკო საზოგადოება. კვირას 4 აგვისტოს ქართულ-კლუბის დარბაზში პოლკ. ესტ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა. კრებაზე წარმოდგენილი იყო ახილი წესდება „ქართული სამუსიკო საზოგადოებისა" წესდება მუხლ-მუხლად იქნა განხილული და დამტკიცებული. წესდების ძალით მთელი ქონება ფილარმონიულ საზოგადოებისა გადადის ახლად დაარსებულ ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობაში. წესდებისავე ძალით ეს საზოგადოება ხსნის პროვინციებში სასწავლებლებს. ამნაირი სამუსიკო სასწავლებელი დადგენილ იქმნა გაიხსნას ჯერჯერობით ქ. ქუთაისში. კრებას მოხსენდა რომ ფილარმონიულ სკოლის გამგე ზ. პ. ფალიაშვილის მაგიერ მოწვეულ იქმნა გ. ე. არაყიშვილი.

◆ გზის განთავისუფლების გამო. ამ დღეებში დაბრუნდებიან რაზმები ვ. ჯუღელისა და პოლკ. კონიაშვილისა

◆ თფილისში ჩამოვიდა ოსმალთა მისია გენ. ხალიპ-ფაშას მეთაურობით და ჩამოხტა სასტუმრო „ნეოეში-". სამხედრო სამინისტრომ გუშინ ქართულ კლუბში ბანკეტი გაუმართა. ბანკეტზე მოწვეულ იქმნენ ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

◆ ტუაფსედან ჩამოვიდა 60 სახალხო გვარდიელი დასასვენებლად. მათ მაგიერად ტუაფსეში ახალი რაზმი გაიგზანა.

◆ სალიკვიდაციო კომისიის თავჯდომარედ დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გვარჯალაძე.

◆ გზათა მთავარ კომიტეტს მთავრობამ ნება დართო შეიძინოს პური სხვა და სხვა საქონლის გაცვლის სახით, რომელი საქონელიც ამ კომიტეტს თვის საწყობებში მოეპოება.

◆ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ლტოლვილი გადმოასახლდა. მთავრობამ გადაწყვიტა მიაქციოს მათ ყურადღება და დაასახლოს თავისუფალ ალაგზე და ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მიმართა მიწად მოქმედების სამინისტროს.

◆ შეიპყრეს 4 მაჰმადიანი საიმპერატორო გერმანიის მისიის წინადადებით.

◆ გერმანიის შტაბი გადავიდა საქართველოს რესპუბლიკის შტაბში სასახლის ქ. საქართველოს რესპუბლიკის შტაბი კი გადავიდა სამხედრო სამინიხტროს ბინაზე . ბარიათინის ქ. № 8.

◆ სახლის პატრონთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, ბინის ფასის გამომუშავების და დაკანონების შესახებ. სამინისტრომ დაადგინა შესდგეს ამ საქმის გამოსაგვარებლად კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი შინაგან საქმეთა სამინისტროსი და ქალაქის თვითმართველობისა.

◆ ბერძენთა ეროვნულ საბჭომ მიმართა თხოვნით მთავრობის თავმჯდომარეს, რათა მიეცეს მას სესხად 300 ათასი მანეთი ბერძენ ლტოლვილთა რუსეთში გაგზავნის ხარჯებისათვის.

◆ საქართველოს ზვრების და სავენახე გამგეობაში დიდი ძალი ღვინო დაიკვეთეს ავსტრო-უნგრეთის, ბოლგარიის და რუმინიის მთავრობამ.

◆ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება. სამშაბათს, 6 აგვისტოს, ფრეილინის ქუჩაზე, № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე დაამთავრებს თავის მოხსენებას—„ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში"; ამავე კრებაზე გაირჩევა ფრიად საყურადღებო მიმდინარე საკითხები.

◆ ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე შესდგება სამთო-საქიმიო სექციის კრება, რომელზედაც ინჟ. ივ. ყიფშიძე დაამთავრებს მოხსენებას შემდეგ თემაზე; „სამთა-მადნო კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი უცხოეთში".

◆ ქალაქის სამართველოს სასურსათო განყოფილებამ გადასწყვიტა გააუქმოს პურის ბარათები.

◆ განჯიდან მოსული ცნობებით ბაქო, 1 აგვისტოს ძლიერი ბრძოლის შემდეგ, თათრებმა დაიჭირეს. ნავთის სამრეწველოები უვნებელია.

◆ ერევნიდან მოსული ცნობით, აგვისტოს 2 იქ გაიხსნა სომეხთა რესპუბლიკის პარლამენტი. პარლამენტის გახსნაზე დაესწრო გერმანია-ავსტრიის მისიის წარმომადგენელი ფინკელშტეინი. მოსმენილი და მოწონებული იქნა მთავრობის დეკლარაცია.

◆ დუშეთის მიღებული ცნობებით, 900 ფუთზე მეტი შაქარი, რომელიც კავკაში სიმინდზე უნდა გაცვლილიყო და რომელიც 20 ივლისს მეამბოხეებმა დაიჭირეს წილკანში, მთავრობის მოთხოვნით ჩამოართვეს მოკშჩეულის კოოპერატივს და დაკარგული შაქრის ფასი მოსთხოვეს ბაზარზე არსებული ფასის მიხედვით.

◆ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს მას 200,000 მან. ხოლერასთან საბრძოლველად.

◆ ფინანსთა მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თანხის გაღების შესახებ განხილული იქნეს განსაკუთრებული ყურადღებით და დაკმაყოფილებული მხოლოდ ისეთი, რომელიც აუცილებელი და სასწრაფოა. აგრეთვე საჭიროა ყველა საბუთების შემოწმება.

◆ აფხაზეთის მინისტრის განკარგულებაში ათი ათასი მანეთი გადასდო მთავრობამ.

◆ მთავრობამ მოიწონა პროექტი სამანდატო კომისიისა ეროვნულ უმცირესობის მონაწილეობის შესახებ ეროვნულ საბჭოში.

◆ სასინოდო კანტორის შუამდგომლობა 65 ათას მანეთის მიცემის შესახებ მთავრობამ არ შეიწყნარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

დაევალოს სასურსათო მინისტრს გამოარკვიოს ადერბეიჯანის წარმომადგენელთან მოლაპარაკებით, სურთ თუ არა აასრულონ ხელშეკრულება შაქრის პურზე გაცვლის შესახებ და რა ვადაში შეუძლიან პურის მოცემა.

—

მიეცეს საქართველოს საინტენდანტო უწყებას უფლება შეიძინოს ჯარისთვის პური იმ პირობით, რომ შეუთანხმდეს სასურსათო სამინისტროს პურის საყიდელ რაიონების დაყოფის შესახებ, ან და თუ ერთსა და იმავე რაიონში იყიდონ მაქსიმალური ფასების დაწესების შესახებ.;

—

მიეცეს რკინის გზების მოსამსახურეთა კომიტეტს უფლება შეიძინოს პური „ძირითადი პარკის“ ბრეზენტის ნაწილობრივ გადაცვლით.

—

აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს საჭიროებისათვის გაეხსნას ძთავრობის სემმართველოს 10.000 მან. კრედიტი ათ მილიონის ფონდიდან, ამ ფულის გამორიცხვით ფინანსთა სამინისტროს მიერ სამმართველოს სახელდახელო ანგარიშში.

—

მოწონებულ იქმნას სამანდატო კომისიის კანონ-პროექტი სხვა ერების წარმომადგემლების შესახებ ეროვნულ საბჭოში.

—

თხოვნა სინოდის კანტორისა 65.000 მან დამატებითი კრედიტის შესახებ—უარყოფილ იქმნას.

—

გაიხსნას მთავრობის სამართველოს სახელზე 207.000 მ. კრედიტი მინისტრების და მათი ამხანაგების დასაკმაყოფილებლად ჯამაგირებით და საწარმომადგენლო ფულით ამ 1918 წლის ბოლომდე.

—

მიეცეს ქართველთა შორის წერა-კითხ. გამ. საზოგადოებას ათი მილიონის ფონდიდან 2000 მ. კიტა აბაშიძის და ვლადიმერ გობეჩიას დასაფლავებისათვის გაღებულ ხარჯების დასაფარავად.

—

გაუქმებულ იქმნას, როგორც უკანონო, სარეკვიზიციო-დამფასებელ კომისიის ამა 1918 წლის 14 ივნისის დადგენილება მარტიროსიანცისთვის 81.552 მან. 44 კაპ. დამატებითი მიცემის შესახებ ჩამორთმეულ სტამბის ასანაზღაურებლად.

—

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ, დიომიდე თოფურიძის მაგიერ დაინიშნოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კონსტანტინე გვარჯალაძე.

—

სალიკვიდაციო კომისიის მდივანს დაენიშნოს ჯამაგირად 600 მან. თვეში ამა 1918 წლის პირველ ივნისიდან, სათანადო კრედიტის თანგახსნით ამა წლის ბოლომდე ათ მილიონის ფონდიდან მთავრობის სამართველოს სახელზე.

—

საქმე საფოსტო ტრაქტების მოიჯარარე ცეცხლაძის და სიხარულიძესათვის ფულის მომატების შესახებ გადაეცეს ფინანსთა მინისტრს თავის აზრის წარმოსადგენად.

—

კავკასიის პოლონელთა ეროვნულ საბჭოს მთავრობა წარსულ 13 ივლისის № 208 თარიღით 19.893 მან 13 კაპ. მიცემის შესახებ ოთხ ამ შუამდგომლობაში მოხსენებული აფიცერთა დასაკმაყოფილებლად, თანახმად სამხედრო მინისტრის დასკვნისა, უარყოფილ იქნას.

—

უარი ეთქვას რუსთა ეროვნულ საბჭოს ელენოვკიდან გამოქცეულ რუს გლეხების დასასახლებლად სიღნაღის მაზრაში მიწის მიცემის შესახებ.

—

გაეხსნამ მთავრობის სამართველოს 1100 მ. კრედიტი ათ მილიონის ფონდიდან ჯაშუშების კომისიის ლიკვიდაციის საჭიროებისათვის.

—

უყურადღებოდ იქნას დატოვებული სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის თხოვნა სააღდგომო დახმარების და აპრილის ჯამაგირების შესახებ.

—

გენერალ მაქსიმოვის თხოვნა კრედიტის შესახებ უყურადღებოდ იქნას დატოვებული.

—

ქ. ქუთაისის მცხოვრების გრიგოლ ხაჩატურისძე გრიგორიანცის თხოვნა ამა 2 აგვისტოს № 1202 თარიღით დაკმაყოფილებულ იქმნას და, თანახმად ამისა, ამიერიდგან ის იწოდებოდეს „გრიგოლ ხეჩატურისძე გრიგოლია.

—

თანახმად ფინანსთა მინისტრის დასკვნისა წარსულ 30 ივლისის № $4471^{3}/_{4}$ თარიღით, გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონის ფონდიდან 8843 მ. 80 კ. კრედიტი სახელმწიფო თეატრის მცველების და ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად 1919 წლის 1 იანვრამდე.

## ჯავახელი ლტოლვილი.

მოგვაქვს ერთი ჯავახელი ლტოლვილის ვ. ვ-ძის [illegible]რძო წერილის ზოგიერთი ადგილები უცვლელათ, საერთოდ ქართველ ლტოლვილთა მდგომარეობის დასახასიათებლად: „ახლა ჩვენი ამბავი ეს არი ჩვენო ბატონო, რომ ძალიან ვფიქრობთ ამაზედ ამასობაში ასე უნდა გაიაროს ზაფხულმა, რომ ვერ გავიგებთ როგორ იქნება ჩვენ საქმე. შევრჩებით ზამთარში საკოჭავში *) და დავრჩებით უსურსათო ჩვენი და აგრეთვე საქონლისა უსახლკარო. ძალიან ვფიქრობთ ამაზედ. ჩვენო ბატონო, არსაიდან შველის პასუხი არ მოგვდის. გვაცოდინეთ რა ამბავია ქალაქში ან რა უნდა გვეშველოს თქვენ თავათ. ერი შველა რამე მოგვეცით, ბატონო, ვგონებ რომ ზამთარში თუ რომ შევრჩით საკოჭავში უეჭველად დავიხოცებით მშიერი და სიცივი აგრეთვე საქონელი. მე ასე ვთლი ჩემი მოკლე ჭკუითა. თქვენ გაქვთ იმოდენი ძალა რომ [illegible]იძლოთ და სადმე ერთი ადგილი აღმოაჩინოთ მ ზამთარში თავი შევაფაროთ ჩვენ და საქონელმა და შემდეგს ვნახო რა იქნება, ეს არის ჩვენი თხოვნა“.

*) საკოჭავი ბაკურიანს იქით არი.

## პატარა ხრილი

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ნაწილებში მღვდელთა გამწესების დროს საჭიროა მიექცეს ყურადღება კანდიდატის როგორც გონებრივს, აგრეთვე ზნეობრივ მხარეს. სამხედრო მღვდელს უეჭველად უნდა ჰქონდეს განათლება საშუალო სკოლისა არა ნაკლები. ეს მოთხოვნილება თავისს თავად ცხადია. ყოვლად მოუხერხებელი და შეუწყნარებელია მხოლოდ უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მღვდელი მა ღირსეული ურთი-ერთობა იქონიოს ჯარის კაცებთან და მათ უფროსებთან.

უფრო ნიშვნელოვანი თვისება სამხედრო მღვდლისათვის არის ზნეობრივი სიფაქიზე და სიყვარული ხალხისა და სამშობლოსადმი. რასაკვირველია ამ მხრივ უფრო ძნელია სასურველ კანდიდატის მოძებნა.

ამდენხანს სამხედრო ქართველი მღვდლები სრულებით არაფრით არ ჰხატავდენ თანაგრძნობას ქართულ საზოგადო საქმეებისადმი, მიუხედავ იმისა, რომ ისინი ნივთიერის მხრით პირდაპირ კეთილდღეობაში იყვნენ შედარებით ქართველ სამრევლოების მღვდლებთან. გადაავლეთ თვალი წერა-კითხვის ან ისტორიულ ეთნოგრაფიული საზოგადოებათა წევრთა სიებს და იქ აღმოჩნდება, რომ სამხედრო მღვდლები თითქმის სრულებით არ სწყალობენ ქართულ საქმეებს, მაშინ როდესაც ამ სიებზი თქვენ შეხვდებით ნაკლებად უზრუნველ ყოფილს სამრევლო მღვდელთა სახელებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნაში სამხედრო ქართველ მღვდლებს, ერთის გარდა, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ახლა კი ყველა რადიკალობს, დემოკრატობს და მეტსაც სჩადის... ძველ ქართველ სამხედრო მღვდლები და ყველა „დამსახურებულნი“ არ გამოდგება ქართველ ჯარისათვის. უკანასკნელისათვის უნდა იყვნენ არჩეული გონებრივ-ზნეობრივად ღირსეული პირნი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ჯარში სულიერ სიმტკიცის შეტანას და მით საქართველოს რესპუბლიკის კეთილ-დღეობას და ძლიერებას.

ქრის ჯ-ცი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჯავახეთის აზრი.

ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს უთქვამს, რომ ოსმალთა და ადერბეიჯანის ლაშქრები ბაქოში 1 აგვისტოს შევიდნენ, რომელთაც ქალაქის წრეში დაახლოვებით ერთი ვერსი დაიკავეს. რაც შეეხება ნავთის საწარმოებელ რაიონებს სურახანა და ბალახანას, როგორც გვაცნობეს, სრულიად გადარჩენილ. შაბათს მივიღეთ აგრეთვე ცნობა რომ ბაქოში უკვე ჩავიდნენ ადერბეიჯანის მთავრობის წევრი ხოის-ხანი, აშუროვი და განჯინსკი. რაც შეეხება იმ ხმებს, რომ ვითომ ოსმალთა ჯარის დახმარება შესაძლებლად ჰყოფს ბაქოს ოსმალეთის ხელში გადასვლას, სიმართლეს მოკლებულია ბაქო აუცილებლივ ადერბეიჯანის სრულ კუთვნილებათ დარჩება.

—

სომხეთის რესპუბლიკაში.

როგორც ერევანიდან იუწყებიან, იქ ორ ივნისს სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტი გახსნილა, რომელსაც გერმანია-ავსტრიის მისიის წარმომადგენელი ფინკელშტეინი დასწრებია. მოუწონებიათ მთავრობის დეკლარაცია.

—

ჩრდილო კავკასიაში.

კავკასის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის მთავრობის წევრი შემდეგს იუწყება: დაღესტანის ოლქში ბალშევიკური მთავრობის ძალა გავრცელდა მხოლოდ თემირხანშურაში, პეტროვსკაში, დარუბანდში და მის ახლო მდებარე სოფლებში მთიელები. ბალშევიზმით არ არიან შეპყრობილნი; ბალშევიკურ მთავრობას მტრულად უცქერიან და პერიოდულად ებრძვიან. მათ შორის არ არის არც მონარქიული და არც სოციალისტური მიდრეკილება. დემოკრატიული მიმდინარეობა ფეხს იკიდებს იმდენათ, რამდენათაც ამას არ კრძალავს შარიატის სარწმუნოების დოღმატები დაღესტნის ოლქში ბალშევიკური მთავრობის დამხობა სულ ახლო მომავლის საკითხია. მიწის საკითხმა ანტოგანიზმი გამოიწვია მთიელთა და კაზაკებს შორის. კავკავიდან გზა რუსეთისაკენ სრულიად შეწყვეტილია. ბალშევიკები ყოველ მხრიდან კაზაკებით არიან გარსშემორტყმული. საქართველოს სამხედრო გზაზე გლეხთა აჯანყებასთან მთიელებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ქართველებისადმი მტრული განწყობილება სრულიად არ არის. გერმანელებისადმი პასიური განწყობილებაა. არის ტენდენცია ერთ მთლიან კავკასიის რესპუბლიკის შესაქმნელათ. სტამბოლის კონფერანციაზე გაგზავნილია მთავრობის წევრი ბამატოვი. მთიელთა შორის პარტიული ცხოვრება არ არის. სიკვდილით დასჯა ჯერ არ შემოუღიათ, მხოლოდ თვითგასამართლებამ მოიკიდა ფეხი.

### თბილისის გუბერნიაში მიღებული მამულების რაოდენობა.

| № | ფონდში მიღებულია: მაზრები და რაიონები. | კომისიების თავმჯდომარე | 20/VI-მდე დეს. | 20/VI-მდე საჟ. | 26/VI-მდე დეს. | 26/VI-მდე საჟ. | 12/VII-მდე დეს. | 12/VII-მდე საჟ. | სულ დეს. | სულ საჟ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თბილისის მაზრა. | | | | | | | | | |
| 1 | ქალაქის გონაპირა | გვანცალაძე | 2342 | 1716 | — | — | 155 | 600 | 2497 | 2316 |
| 2 | სართიჭალის | ირემაშვილი | 5864 | 2111 | — | — | — | — | 5864 | 2111 |
| 3 | ბელიკლიუჩის | წერეთელი | 1058 | 1277 | 1881 | 800 | 3353 | 2297 | 6293 | 1974 |
| 4 | მანგლისის | ხმალაძე | — | — | — | — | 1992 | 1566 | 1992 | 1566 |
| 5 | ასურეთის | ალავიძე | 2017 | 2055 | 3050 | 505 | 369 | 973 | 5437 | 1133 |
| 6 | ყარაიაზის | ივანიცკი | 2610 | 1242 | — | — | — | — | 2610 | 1242 |
| | | სულ | [illegible]3894 | 1201 | 4931 | 1305 | 5871 | 636 | 24697 | 742 |
| | გორის მაზრა. | | | | | | | | | |
| 1 | გომის | მირზაშვილი | [illegible]66 | 2130 | 2984 | 380 | — | — | 4951 | 110 |
| 2 | მეჯვრისხევის | დავიდოვი | 2[illegible]33 | 634 | — | — | — | — | 2633 | 634 |
| 3 | ცხინვალის | ოქროპირიძე | [illegible]06 | 1915 | 112 | 185 | — | — | 918 | 2100 |
| 4 | სურამის | ლოლაძე | 1[illegible]5 | 602 | — | — | — | — | 1985 | 602 |
| 5 | ქვემო ჭალის | ქველიშვილი | 18[illegible] | 1865 | — | — | — | — | 1831 | 1865 |
| 6 | ოსეთის | სანაკოევი | — | — | — | — | 35 | 2199 | 35 | 2199 |
| 7 | ახალქალაქის | მგელაძე | 32[illegible] | 2260 | 202 | 730 | 492 | 2180 | 1021 | 370 |
| 8 | ქარელის | არველაძე | 25[illegible] | — | 138 | — | — | — | 388 | – |
| " | " | ბოლქვაძე | 35[illegible] | 350 | — | — | — | — | 357 | 350 |
| | | სულ | 10157 | 156 | 3436 | 1295 | 528 | 1979 | 14122 | 1030 |
| | დუშეთის მაზრა *). | | | | | | | | | |
| 1 | საგურამოს | სოსელია | 1936 | [illegible]269 | — | — | — | — | 1936 | 2269 |
| 2 | მუხრანის | თავაძე | 1399 | [illegible]470 | — | — | — | — | 1399 | 470 |
| 3 | საგურამოს | რაურაუა | 2693 | [illegible]95 | — | — | — | — | 2693 | 2095 |
| | | სულ | 6030 | | — | — | — | — | 6030 | 34 |
| | თიანეთის მაზრა. | | | | | | | | | |
| 1 | თიანეთის | დორიალოვი | 4504 | 60 | — | — | — | — | 4504 | 60 |
| 2 | ახმეტის | ბარძიმაშვილი | 2149 | 294 | — | — | — | — | 2149 | 294 |
| | | სულ | 6653 | 354 | — | — | — | — | 6653 | 354 |
| | სიღნაღის მაზრა. | | | | | | | | | |
| 1 | გურჯაანის | ცისკაროვი | 615 | 700 | 1234 | [illegible]20 | — | — | 1849 | 1320 |
| 2 | კოდალის | წულაძე | 4689 | 2020 | 1628 | 1280 | — | — | 6318 | 900 |
| 3 | ,, | ახმეტელოვი | 1607 | 410 | — | — | — | — | 1607 | 410 |
| 4 | ლაგოდეხის | ფალავანდოვი | — | — | — | — | 10 | 1800 | 10 | 1800 |
| | | სულ | 6912 | 730 | 2862 | 1900 | 10 | 1800 | 9785 | 2030 |
| | თელავის მაზრა. | | | | | | | | | |
| 1 | წინანდლის | ლეჟავა | 1209 | 2050 | — | — | 930 | 1504 | 2140 | 1154 |
| 2 | იყალთოის | რამიშვილი | 102 | 1670 | — | — | — | — | 102 | 1670 |
| 3 | ნაფარეულის | კობიძე | 2371 | 142 | — | — | — | — | 2371 | 142 |
| 4 | ყვარელის | წირქვაძე | 913 | 691 | — | — | — | — | 913 | 691 |
| | სულ | | 4596 | 2153 | — | — | 930 | 1504 | 5527 | 1257 |
| | მთლად გუბერნიაში | | 48243 | 2228 | 11230 | 2100 | 7341 | 1119 | 66816 | 647 |

*) დუშეთისა და თიანეთის მაზრაში მუშაობა შეწყვეტილი იქნა ანარქიის გამო.

## განცხადებები


თბილისის მესამე მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული, ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 13 აგვისტოს ამა 1918 წლ. დილის ათ საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ვიკულა ტაბურჩინსკის მოძრავი ქონებისა: ფურგუნებისა, ეტლისა და სხვა ნივთებისა, ეს ქონება დაფასებულია 1750 მან.
საჯარო ვაჭრობა მოხდება დიდუბეში, გლდნის ქუჩაზედ, სახლი № 7.
სასამართლოს ბოქაული ა. გეგეჭკორი.
ს. №156

თურქესტანის საპიორის ბატალიონის დაკარგული შაქრის ბარათი № 53981, მიღებული სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორისაგან 1917 წ. 5 პრ. თავისუფლების სესხის ქაღალდებით 32050 მანეთისა გთხოვთ ჩასთვალოთ გაბათილებულათ. (3—3).

არტემ ერმალოს ძე ჩაჩუა აცხადებს, რომ მან დაკარგა: 1) მოწმობა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის კურსის დამთავრებისა. 2) პირი მოწმობისა, 3) მეტრიკული ამოწერილობა, 4) პირადი მოწმობა ბათალიონიდან და 5) 47 მ. ფული.
მპოვნელს ვთხოვ გადასცეს დოკუმენტები „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ივანე დანიელის ძე ეპანჩინცევი აცხადებს, რომ მან დაკარგა უვადო პასპორტი, მიღებული თბილისის ყოფილი პოლიციის უფროსისგან 1916 წ.
ამ საბუთის მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს ის მილიციის სამმართველოში.
27 ივლისი 1918 წ.

ქ. თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 3 მაისს 1918 წ. გარდაცვალებულ ნადეჟდა იოანეს ასულის ჩეტვერიკოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ჩეტვერიკოვის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადიში. 3 აგვისტო 1918 წ.

ნესტორ ჰანოყვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: კონტორა „განათლების“ აგენტობის მოწმობა, მოწმობა სადგურის ბაქანზე გასვლისა, რკინის გზის სამართველოდან მოცემული და „პენსიონერის“ მოწმობა. მნახველს სთხოვს მოიტანოს თბილისში კონტორა „განათლება“-ში.


რედაქტორი ჰ. დ. საყვარელიძე.